№ 118
ივნისს 8, შაბათი, 1902 წ.
1877

# ივერია

№ 118
ივნისს 8, შაბათი, 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ თიბათვიდგან წლის დამლევამდე გაზეთი

## „ივერია“

ღირს ექვს მანეთად და ათ შაურად (6 მ. 50 კ.)

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

**ხელის მოწერა მიიღება:**

**ტფილისში:**—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
**ქუთაისში:**—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
**ბათუმში:** მ. ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში).
**ბაქოში:**—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
**ხონში:**—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
**შორაპანში:**—პართენ ნასიძესთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში და **ბათუმში** ს. ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверіа“.

## გაზეთი „ივერია“

**რომლის გამომცემელია დღეს თ. ი. გ. ჭავჭავაძე,**

გადადის საკუთრებად **„ივერიის“** ამხანაგობის ხელში.

ამხანაგობამ უფლება ამ გაზეთის გამოცემისა შეიძინა ნოტარიუსის წესით დამტკიცებულ ხელ-შეკრულობით 6 აპრილს 1902 წ.

ამხანაგობაში მონაწილეობას იღებენ: თ. ამირეჯიბი, როსებ თადეოზის-ძე, დოქტორი ვაწაძე, სპირიდონ იოსების-ძე, დოქტორი გაბაშვილი, დიმიტრი გრიგოლის-ძე, ლოლობერიძე, ნიკოლოოზ ბესარიონის-ძე, გოგებაშვილი იაკობ სვიმონის-ძე, გძელიშვილი გიორგი ივანეს-ძე, გუნცაძე ირაკლი ალექსანდრეს-ძე, თ. დიასამიძე, გრიგოლ ნიკოლოოზის-ძე, ჯაბადარი, ივანე სპირიდონის ძე, მესხი, კონსტანტინე დავითის-ძე, მიქაბერიძე, ალექსანდრე ნიკოლოოზის-ძე, სარაჯიშვილი, ალექსანდრე ივანეს-ძე, დოქტორი ჩიქოვანი, ყარამან მანუჩარის-ძე და ყიფშიძე, გრიგოლ თეოდორეს-ძე.

ამხანაგობის თანხა განსაზღვრულია 15,000 მან., განყოფილი 1,500 პაით, 10 მან. თითო პაი.

ვისაც სურს შეიძინოს პაი, კეთილ-ინებოს და მიჰმართოს „ივერიის“ რედაქციას, რომელიც იმყოფება სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, №№ 117 და 118.

ამხანაგობის საზოგადო კრებაზედ ხმა აქვს მხოლოდ იმას, ვინც შეიძენს არა ნაკლებ ათის პაისა.

რედაქციაში შეიძლება მსურველმა მიიღოს ეგზემპლიარი ხელ-შეკრულობისა.

**იმპერატრიცა მარიამ ალექსანდრეს ასულის** უსინათლოთა მზრუნველობის კავკასიის განყოფილების საბჭო აცნობებს განყოფილების წევრებს, რომ კვირას 9-ს, ამ ივნისს, ნაშუადღევის $1^1/_2$ საათზედ, მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმსრულებელის გენერალ-ლეიტენანტის ა. ა. ფრეზეს სახლში დანიშნულია საზოგადო კრება სამზრუნველოის კავკასიის განყოფილების წევრთა, განყოფილების მოქმედების 1901 წლის ანგარიშის მოსასმენლად და მოხელეების ასარჩევად. (3—2)

ქართველ ქალთა

## ამხანაგობა

სამკერვალოსა და სახელოსნო სკოლაში იღებს ყოველ-გვარ საკერავს: კაბებს, თეთრეულს, ქარგვას და საცვლებზედ ამოჰკრავენ ნიშნებს (МѢТКИ). ბარონის ქუჩა № 12.

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

**მაღალაშვილი**

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო ნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლებსი ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. წ.

კავკასიის სამოსწავლო ოლქის ნებართვით 5 თიბათვიდგან 20 მარიამობისთვემდის გახსნილ იქმნება **დაბ. სურამში**

## სარეპეტიციო და მოსამზადებელი კლასები

მასწავლებლად არიან მოწვეულნი სპეციალისტნი, მაღალ სასწავლებლებში კურს-დამთავრებულნი. ვამზადებთ აგრეთვე კავკავის კორპუსისათვის.

მმართველნი კლასებისა ალ. ივ. ნათაძე და პერ. მიხ. კორსანიძე. (6—5)

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** $1—1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**კ. ი. გძელიშვილი.** 5—6 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 ს. ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობათა.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** $7^1/_2$—8 ს.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

**გ. ა. თარხანოვი.** $7—7^1/_2$ საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**მიხეილ გედევანიშვილისა**

ავადმყოფთათვის კრაოტები

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა 9—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგან: სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11 ს.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.

**კ. მ. ელიოზიშვილი**—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 საათ.

**ა. ვ. ბარსუკოვი**—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

**გრ. ვ. სოგოლევსკი**—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

**გ. მ. ამბარდანოვი**—სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.

**საღამოთი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

**მ. ი. იანჩევსკი:** ყურისა, ყელისა და ცხვირისა 5—6. კვირაობით დილის 12—1 საათამდის.

**ა. გ. მაღალაშვილი**—შინაგან და ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

**კვირაობით:**

**გ. გ. მაღალაშვილი**—10—12 საათ., შინაგან ავდმყოფობათა. (წ.)

## ტფილისი

✦ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას იმერეთის სასოფლო საზოგადოებისაგან მოუვიდა თეთრი თუთის თესლი პატარა პარკით. როგორც წერილით ატყობინებენ, ამ თუთის თესლი მემამულეს ევტიხიდიას ამ სამის წლის წინად გამოუწერია თავის მამულიდგან, რომელიც იმყოფება ბრუსაში (ოსმალეთში), იმერეთის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას დაუთესია იგი და აღმოჩენილა, რომ ამ თუთის ფოთოლი უფრო ნაზი და ნაყოფიერი ყოფილა, ვიდრე ჩვენებურ თუთისა, ამასთან არც დიდს ხარჯსა თხოულობს მისი მოყვანა. კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისთვის ეს თესლი იმერეთის საზოგადოებას გამოუგზავნია იმიტომ, რომ მან აქაც სცადოს.

✦ „ჰუტენბერგის“ სტამბაში იბეჭდება ამ ჟამად მაქსიმ გორკის თხზულებათა კრებული. ამ კრებულში მოთავსებული იქმნება 13 პატარა მოთხრობამდე. გამომცემელი ი. იმედაშვილია.

✦ ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა გუბერნატორის წინაშე იმის შესახებ, რომ გამგეობას გადაეცეს ხოლმე ის ფული, რომელიც კერძო გამსესხებელ კასსებში რჩება ნივთების გაყიდვის შემდეგ და რომელიც მსესხებელთ არ მიაქვთ. როგორც რევიზიამ აღმოაჩინა, გ. ს. ივანოვის კასსაში ასეთი ფული ყოფილა—6,233 მან. 23 კაპ., მელიქნუბაროვის კასსაში—1,151 მან. 44 კაპ. გამგეობასა ჰსურს ეს ფული საქველ-მოქმედო საქმეს მოახმაროს.

✦ ქალაქის საბჭომ შეიწყნარა „წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობის თხოვნა იმის შესახებ, რომ ქალაქის ერთ-ერთ ქუჩას ისტორიკოსის ბროსეს სახელი დაერქვას.

✦ გუშინ დილით, ვერის ხიდის ახლო, ყორღანოვის მამულის ძირს, ტკვრის პირად ჰნახეს ჯაგებში მკვდარის კაცის გვამი. ეს იქნებოდა 27 თუ 28 წლის კაცი. უბრალო პიჯაკი ეცვა და ფეხშიშველა იყო. ჭრილობა არა ჰქონდა-რა, მხოლოდ მარჯვენა საფეთქელი ჰქონდა გატეხილი. ჰფიქრობენ, მაღლიდან

## ფელეტონი

### თრიალეთზედ

(ნამდვილი და ფანტაზია)

I

მიყვარს ჩვენი ხალხი!.. მიყვარს ეს უდიერი ვაებისა და შრომის შვილი, ლატაკი, მწარედ ღარიბი, მაგრამ სიღარიბესთან ერთად სხვებზედ ხშირად დამცველი სამართლიანობისა, სვინიდისიანობისა... მიყვარს იმიტომ, რომ გამიზომნია გლეხ-კაცთა გაჭირვებანი... მათთან ერთად მიჭამნია მათი მწარე პური; ვყოფილვარ მონაწილე მათს ბრძოლაში გაჭირვებასთან და გამოცდილებით ვიცი, რომ ისინი ხშირად უფრო პატიოსანნი რჩებიან ბრძოლაშიაც-კი.—უფრო მიყვარან, იმიტომ რომ მათთან ერთად მიმხიარულნია იმ უბრალო, მაგრამ ადამიანურის მხიარულობით, რომელიც მუდამ მხიარულებაა, როგორც მზე მუდამ მზეა, ერთბამად მანათობელი სიღარიბისა და სიმდიდრისა...

მახსოვს, როდესაც ნატვრა ამისრულდა და ჩვენს მეცხვარეებთან ერთად მოვექეც მშვენიერ თრიალეთს, სადაც ჩვენის ქვეყნის დასრსებიდან ბარის ცხვარი იკრიბებოდა და იკრიბება ზაფხულობით. მშვენიერი დილა იყო. თას სულამდე მწველელი ცხვარი ორმა მწყემსმა მორეკა ბინაზედ. ცხვარი შერეკეს უშველებელ ლოდებით შემოზღუდულ ბაკში.

ჩვენც ის იყო გავათავეთ მსუქანი და გემრიელი ცხვრის ყაურმა; ტუჩებისა და ულვაშების წმენდით ავიშალენით. ყველამ მოჰკიდა ხელი იქ მყოფ ხის კასრებს, რომლებშიაც ფარსა სწველიან. სარქალმა თეთვიამ, მხარბეჭიანმა და ომახიანმა ვაჟკაცმა ადგომის უმალ ბევრლო უშველებელ ჩომბახს ხელი და ბინაზედ თავ-მოყრილი ძაღლები დააწიოკა.

— თქვე ტიელნო, ყვავილიან მწვანეზედ გახვიდეთ, აქ რა ქვაბში გვიცვივითო!—დასძახა მეხივით. ძაღლებიც წმუკუნით გაცვივდნენ ფამფარით [1]) გადალურჯებულ მწვანეზედ და იქ წამოყუნტდნენ.

— ყმაწვილებო! აბა პირობაზედ როგორა ხართ? შკოლელობა იქით უნდა გადასდოთ და ბერაში ჩაჰსხდეთ,—კიჟინით გვითხრა მე და ვანოს თეთვიამ.

— ვაჟებს ნუ გვეტყვით, თუ ვისმეს დაგვარდეთ წველაში!—შევძახეთ მე და ვანომ და მოვკიდეთ ხელი საწველ კასრებს.

ვიწროდ მოყვანილ ბაკის კარებთან მწკრივზედ ჩავსხედით თორმეტნი: ექვსი ქვეითა და ექვსი ზევით. დაჩოქილებს წინ საწველი კასრები გვედგა, ორი მწყემსი-კი ბაკიდან ცხვარს კარებისკენ უმარჯვებდა, ცხვარიც კარებში ბაწარ-აღებით გამორბოდა, ჩვენ ვიჭერდით, საწველელთან ცურს მივატანინებდით, ვუჭერდით მუქს და შხრიალით რძეს სარძევეში ვუშვებდით. ასე გაწველილი ცხვარი მწყემსებ შუა გარბოდა ველად.

მზე კარგა წამოდგა საშუადღეოდ და ამ უშველებელ სიმაღლეზედაც მოახურა არემარე. ჩვენ-კი დაჩოქილები ბერაში ცხვარს ვწველიდით, თუმცა მაჯები მოგვიდუნდა, მუხლებს კანკალი გაჰქონდა და ხვითქი გადაგვდიოდა ყველას სახეზედ.

— აბა, ყმაწვილებო, ჩვენთან ერთად რომ მოიწურავთ ოფლს, საწყალი კაცის შებრალებაც გექნებათ,—გვითხრეს აქეთ-იქიდან მწყემსებმა, თუმცა თან გაკვირვებულნი იყვნენ ჩვენის მხნეობით, ყაირათით, რადგან მათზედ მარდად ვიჭერდით ბერაში გამოსულ ცხვარს და ხელადაც გავწველიდით ხოლმე.

გავლიეთ ბაკში ცხვარი და ავდექით ყველანი, მოვიწმინდეთ ოფლი, გავსწორდით წელში და გავისუფთავეთ დელოში [2]) მოსვრილი ტანთ-საცმელი. ორი უშველებელი ბოჩკა ავავსეთ რძით. თეთვიამ მისცა ყველის დედა და დაურია რძეს... ამ დროს მეორე მხრიდგან მორეკეს დაწველილი ცხვრის ბატკანი, რომელიც, დაერია-რა მშვენიერ მწვანეზედ დედებს, ასტეხეს საშინელი ბღავილი. ეს ვაიუშველებელი ბატკან-ცხვრისა შორს გაისმოდა მშვენიერ არე-მარეში. თვით ბატკან-დარეული ცხვარი, ბინა, თითონ ჩვენ, მწყემსები, მშვენივრად ვიხატებოდით ჩრდილად მიმდგარ ჩვენ ქვემოდან გაშლილ უშველებელ ჩილდირის ტბაში, რომელშიაც შედის მტკვარი, რა წამს თავს აღწევს უფრო უშველებელ ფარვანას (თაფარავანის) ტბას...

II

— ჩვენი პირობა შევასრულეთ, ახლა ჯერი შენ პირობაზედაა, ძამია სარქალო,—უთხრა ვანომ თეთვიას, როცა საჯზე გამამცხვარ უშველებელ თეთრ ლავაშების გროვას მივუსხედით და წინ დავიდგით სატანად ცხვრის ყველი და მისივე სქელი მსუქანი მაწონი.

— თეთვია მოგიკვდეთ, თუ პირობას გადავიდეს!—სთქვა სარქალმა და გამოელაპარაკა მწყემსებს: „გავათაოთ სადილი თუ არა, ბიჭებო, ცხენობა მორეკეთ, დაიჭირეთ ცხენები და აბულებზედ ყმაწვილებს გაჰყევით, დაატარეთ და აჩვენეთ დაქვავებული ცხვარმწყემსობა, ქრისტე რო არ შეებრალებინათ [3]). ამალამ, ვიცი, იქ დარჩებით, ნაბინავრებიდან შეშა წაიღეთ, ხურჯინში ნახევარ ფეშხვა ცხვრის ხორცი, ყველი, ლავაშები ჩააწყეთ, მაგრამ დილაზედ, იცოდეთ, ცხვრის გაწველას უნდა მოუსწროთ,—დაათავა თეთვიამ.

ამ განკარგულებამ ჩვენცა და მწყემსობაც ძალიან გაგვახარა, იმიტომ ხელად შემოვურბინეთ ველზე გასულ დასუქებულ-დალაღებულ ცხენობას და ჩავრეკეთ ხევის ვიწროში, სადაც ასტყდა ვაი-უშველებელი და ყიჟინა. გველივით იხლაკნებოდა ჰაერში ნასროლი ქამანდი და იჭერდა შეუპოვარ ცხენობას. ბევრი ცხენი მეტად იჭირვებდა თავს თავისუფლებისათვის, არ ეპუებოდა ჩვენს ჩომბახებს, ყვირილს, მირტყმულ ქვას, ნესტოებ დაბერილი და კუდ-დაქახრაკებული იგი მაინც გარბოდა ჭიხვინით ველზედ. მაინც ცხენთა საჭირო რიცხვი შეიკაზმა, უკან ჩაეკრათ იაფინჯები, ხურჯინიც არ დავივიწყეთ ხორაგით და მალე ოჭარა-თქურით დავეშვით ტბისკენ; გაველით ძველ განძის ხიდს და გავიჭერით აბულებისკენ. ათასნაირ ტურფა და უცხო ყვავილებს სთელავდნენ ჩვენი გაშმაგებული ცხენები. აი დაიწყო ქვა-ყრილიც [4]) თავის საოცარის ლოდებით, ქვა-ღრეთი... ბალახი ცოტავდება, თითქო „ქვეყანასა, ულრანსა და უვალსა“ შეველითო. უცბად უშველებელ ლოდებში ჩამოსხდნენ ჩვენი თანამგზავრნი და გაუშვეს ცხენები საძოვარზედ.

— აგერ მატყლის კანძების გროვა როგორ გაქვავებულა!.. აგერ მატყლის გროვაზედ როგორ ჩაფლულა სარქალი, იავი-და უჩანს და ისე გაქვავებულა. საცოდავს ჰგონებია ქრისტე-ღმერთი აქ ვერ დამინახავს და არაფერსა მთხოვსო. აგერ მწყემსებიც დაქვავებულნი ჩომბახებზედ როგორ დაყუდებულან! ძაღლები, ძაღლები! ზოგი ზეზე დგას და ისეა გაშეშებულ-გაქვავებული, ზოგი წევს, ზოგი დაყუნტებულია და ყურებ-აცქვეტილი. მაგრამ საოცრად ცხვარ-ბატკანი დაქვავებულა! აგერ შეჭჯდომია დედას თუ არ ბატკანი, ისე დაჩოქილი დედის ცერზე გაქვავებულა! აგერ ახლო მისულა თუ არა დედასთან ბატკანი და ერთმანერთისთვის შეუბღავლნიათ, იქვე გაქვავებულა!..

ასე გვიხსნიან მწყემსები და თან გვაჩვენებენ გაკვირვებით ბუნების საოცრებას.

სურათი საოცარი გვეხატება თვალ-წინ. ცეცხლის ღმერთს ვულკანს აბულებში თითქო ქვაზედ ქანდაკების შესწავლისთვის მიუყვია ხელი და ფანტაზიამ მცირე რამ უნდა-ღა დაუმატოს, რათა საქართველოს მწყემსთა ამის შესახებ თქმულება ცხოველად აღგვებეჭდოთ გონებაში. მწყემსთა თქმით, ქრისტე რომ ქვეყანაზედ დაბრძანდებოდა, ჯავახეთში, თრიალეთშიაც არა ერთხელ ყოფილა, მხოლოდ იმ ჯვარს-კი არ გასცილებია, რომელიც ეხლაცა სდგას თაფარავანის ტბის აღმოსავლეთის ნაპირზეო [5]). აი ერთ ასეთ თავის მგზავრობაში ამ გაქვავებულ ნაბინავარზედაც მიბრძანებულა სათხოვრად, მაგრამ მწყემსთ არ შეუბრალებიათ და უფალს გაუქვავებიაო. მწყემსთა რწმენით, თრიალეთი და ჯავახეთი იმიტომ დღესაც უხვი ქვეყნები არიან საძოვრით,

[1]) ფამფარა მთის იალაღის ყვავილია, საუკეთესო მაჩვენებელი ცხვრის იალაღისა. მეტადრე ლურჯი ფამფარაა ამისუტყუარი საბუთი.

[2]) დელო—ცხვრის დგომის გამო ატალახებული მიწაა—ანუ ლაფი.

[3]) ეს ადგილი განძის გადასწვრივ არის, აბულის მთების კალთებში და ყველა მწყემსმა იცის მასზედ ნათქვამი გარდმოცემა.

[4]) ვახუშტი კარკანალს უწოდებს.

[5]) ეს ჯვარი უშველებელ ქვიდან არის გამოკვეთილი და დღესაც ხელ-უხლებლად სდგას მშვენიერ ალაგს,

ჩამოვარდნის დროს თუ დაჰკრა და იმისაგან გარდაიცვალოთ, მაგრამ სისხლიც არსად სჩანდა. ეჭვი-კი არაა, რომ განგებ იყოს მოკლული, თორემ მტკვარში გადააგდებდნენ, რადგან ზედ მტკვრის პირად ეგდო გვამი.

✦ წუხელ, საათის რვაზედ ცეცხლი წაეკიდა მადათოვის კუნძულზედ გუგუშვილის მაღაზიას. ცეცხლის გაჩენის მიზეზი ჯერ გამოურკვეველია.

✦ ამ ბოლოს დროს ტფილისში დიდ-ძალ საკლავ საქონელს მოერეკებიან, ასე რომ ფუთი ხორცი ეხლა 3 მანეთად ჯდება, წინანდელ 4 მან. 50 კაპ. ნაცვლად. კომისიაში ამიტომ ლაპარაკია აღძრული ხორცის ნიხრის დაკლების შესახებ.

✦ 6 ივლისს მოხდა არჩევნები ხელოსანთა უსტაბაშისა სერობიანცის ნაცვლად, რომელიც გუბერნატორმა არ დაამტკიცა. ყუთი დაიდგა ოთხმა კაცმა: რაფაელოვმა, სერობიანცმა, მხეიძემა და როლოვმა. ყველაზედ მეტი თეთრი კენჭი ამოუვიდა რაფაელოვს.

✦ ქალაქის საბჭომ არ შეიწყნარა ეპისკოპოს კირიონის თხოვნა. ყოვლად-სამღვდელო კირიონი სთხოვდა ქალაქს ვერაზედ მიწას, სადაც ბეთანიის მონასტრის ბერებს ქალაქში მომსვლელ მენაზირეთა და მეტივეთათვის სასულიერო და ზნეობრივი საუბრები უნდა გაემართათ.

✦ ტფილისის სასულიერო სემინარიაში უკვე დამთავრდა მისაღები ეგზამენები. სულ 60 კაცი იჭერდა ეგზამენს, აქედგან მიიღეს მხოლოდ 29 კაცი. მეორედ გამოცდა მოხდება 21 აგვისტოს.

✦ გუშინ დილითვე, 11 საათზედ, ვერის ხიდთან ვიღაც ქალი იდგა და ტიროდა. უცბად შესდგა ფეხი მოაჯირზედ და მტკვარში გადავარდნას ეპირებოდა. კაბა მოედო მოაჯირს და სწორედ ამ დროს სტაცა ერთმა გამვლელმა მუშამ ხელი და გადაარჩინა საბრალო. ქალი ქართველი იყო, გვარად ვ—ძე. სახეზედ დიდი მწუხარება ეტყობოდა.

✦ თხოვნები ტფილისის იუნკერთა სასწავლებელში შესასვლელად მიიღება პირველ ივლისამდე, ხოლო მისაღები ეგზამენები დაიწყება 15 აგვისტოს.

✦ 6 ივნისს, საღამოს 7 საათი იქნებოდა, რომ წყაროს უბნის მცხოვრებნი დაწიოკებულნი გამოცვივდნენ ყვირილზედ: „არიქათ, გვიშველეთ, დაგვხოცესო“. საქმის ვითარება ასე ყოფილა: ელიზბარ ენუქიძე თავის ძმით მისულა წყაროს უბანში ოლგა ბებიაშვილის სახლში და უნახავს, რომ იაკობ ჯუკინიძე და სხვანი სხედან და დროებას ატარებენ. ენუქიძეს, შესულა თუ არა, შეუძახნია ოლგასთვის, ეს არის შენი ერთგულობაო და ამოღებულ ხანჯლით სიტყვაზედ დაუწყია ცემა; ოლგას მიჰშველებია ჯუკინიძე და მოჰხვლიათ ჩხუბი. ჩხუბის დროს ჯუკინიძესთვის თავში დოქი დაერტყათ და ხანჯლითაც დაეჭრათ ძმათა ენუქიძეებს, მხოლოდ გაბრაზებულს ჯუკინიძეს ამოელო ხანჯალი და მუცლის ცოტა ქვემოდ ეტაკებინა ენუქიძისათვის. დაჭრილი გამოიქცა, სისხლის დენამ შეაწუხა და პავპავაძის ქუჩის თავში წაიქცა. აქ ხალხი მიეშველა და ძლივს-ძლივობით პოლიციაში შეატყობინეს. პოლიციამ დაჭრილები სამკურნალოში გაჰგზავნა.

## საქართველოს ცხოვრების ამბები

ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის არჩევნები ასე დასრულდა 5 თიბათვეს: დირექტორებად არჩეულ იქმნენ ბ-ნი ვ. ნ. აბულაძე (119 თ. 62 შ.) თავადის ნ. ერისთავის მაგივრად (რომელმაც 78 თ. მიიღო და 102 შ.) და ბ. ი. ჯაიანი, ძველი დირექტორი (107 თ. 73 შ.); გამგეობის წევრთა კანდიდატებად აირჩიეს თავადი ბ. წერეთელი (124 თ. 40 შ.), ბ. კ. გოცირიძე (108 თ. 56 შ.) და ბ. ს. ამირეჯიბი (98 თ. 66 შ.).

ზედამხედველ კომიტეტის წევრობაზე კენჭი იყარა 11 კაცმა; მათ შორის 5 ძველი იყო: ბ-ნი ლოლუა (45 თ. 119 შ.), ბ-ნი ჯორჯიკია (69 თ. 95 შ.), ბ-ნი ბარათაშვილი (82 თ. 82 შ.), ბ-ნი ჩაჩიბაია (47 თ. 117 შ.) და თავადი ფაღავა (103 თ. 61 შ.), ექვსი ახალი: თავ. ს. ნ. ლორთქიფანიძე— გუბერნიის წინამძღოლი (102 თ. 62 შ.), თავ. ს. გ. წერეთელი (115 თ. 49 შ.), ბ-ნი ა. თ. ნანეიშვილი (115 თ. 49 შ.), თავ. დ. ა. ლორთქიფანიძე, ქალაქის თავი (127 თ. 37 შ.), ბ-ნი ს. დ. ჯაფარიძე, ნაფიცი ვექილი (108 თ. 56 შ.) და ბ-ნი ზ. მაჭავარიანი, რომელმაც აღარ ინება და თავისი ყუთი კენჭის ყრის შემდეგ აალებინა სხვა-და-სხვა მიზეზების გამო.

ამ გვარად ძველი გამგეობიდგან და ზედამხედველ კომიტეტიდგან მხოლოდ ორი კაცი დარჩა: თავ. ფაღავა და ბ. ჯაიანი.

—

დუშეთის მაზრის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება დანიშნულია 21 ივნისისათვის. კრებამ უნდა მოილაპარაკოს უმაღლესად ნაბოძებ ფულის მოხმარებისა და საგანგებო საგუბერნიო კრების დროს შეცვლაზედ.

—

**წერილი ქუთაისიდგან** (ქალაქის საქმეები. საბჭოს გამოსათხოვარი კრებანი).

5 ივნისს დამთავრდა 27 მაისს დაწყებული გამოსათხოვარი კრება საბჭოსი. ეს ორი კრება ორის მხრივ არის ღირსი აღნიშვნისა ჩვენის ქალაქის ცხოვრებაში: პირველ იმით, რომ ერთმა შეძლებულმა მემამულე ხმოსანთაგანმა ივანე ზურაბის ძე გელესიანმა, თვისდა სასახელოდ და ქალაქის სასარგებლოდ, საბჭოს წინადადება მისცა 5000 მან. შემოვიტან და ჩემ სახელზე ამ ფულის სარგებლით—300 მან. ერთ-ერთ უმაღლეს სპეციალურ სასწავლებელში სტიპენდია დააარსეთო, რომელიც დაენიშნება საბჭოს გადაწყვეტილებით ქუთაისში ანუ ქუთაისის მაზრაში მცხოვრებ ღარიბ მოსწავლეს. შემომწირველმა ეს წინადადება და შემოწირულების სხვა პირობანიც თან წარმოუდგინა საბჭოს მისაღებად და შემდეგ მთავრობისათვის წარსადგენად. ქუთაისის საბჭოს ცხოვრებაში ასეთი გულ-უხვი შემოწირულება პირველი მაგალითია და ამიტომ საბჭომაც იგი დიდის მადლობის გამოცხადებით მიიღო. მხოლოდ ახლა ამ ფულის დამპატრონებელთა მოვალეობაა ამ მოქალაქის შემოწირულება დანიშნულებისამებრ ღარიბ მოქალაქეების შვილებს მოახმარონ, სინამდვილით გამოიძიონ, ვინ იქნება ღირსი დახმარებისა. ხმოსნების მიუკერძოებლობამ აქ უნდა იჩინოს თავი...

მეორე საყურადღებო, საჭირო და მასთან საჩქარო საკითხი იყო წყლის მილის საქმის საბოლოვოდ გადაწყვეტა. როგორც „ივ.“ მკითხველებმა იციან, ინჟენერ მიხაილოვმა აგერ 2—3 თვეა წარმოუდგინა საბჭოს დაწვრილებითი პროექტი, რომელიც ამ უკანასკნელმა სამ ინჟენერ სპეციალისტს გადასცა განსახილველად. იმათ თავიანთი შენიშვნები და დასკვნა უკვე წარმოუდგინეს საბჭოს, რომელმაც ხელ-ახლა მიანდო ეს საქმე კომისიას; კომისიასაც თავის მხრივ მოუწვევია შესათანხმებლად ინჟენერი მიხაილოვი და ამხანაგობის თავმჯდომარე გ. ზდანოვიჩი. ესენი უკვე დასთანხმებულან სპეციალისტების 23 შენიშვნაში უმთავრეს მუხლებს და აი 5 ივნისის გამოსათხოვარ კრებას მოხსენდა ინჟენერ მიხაილოვის ამ პროექტის კაბინეტებში კაი ხნის მოგზაურობის ისტორია.

ამ მოგზაურობის ისტორიამ ხმოსნები და მათში თავიდანვე კრიტიკულის თვალით მაყურებელი ექიმი დ. ნაზაროვი მაინც ვერ დაარწმუნა, რომ ინჟენერ მიხაილოვის პროექტი სრულია. ხმოსნები, მიუხედავად პირობის მეექვსე ურულ გამოთქმულ მუხლისა, მაინც თხოულობდნენ კონტრაგენტისაგან, მიეცა ქალაქისათვის გარკვეული სავალდებულო სიტყვა, რომ ქალაქის ყველა ნაწილში იქნება გაყვანილი წყლის მილები და ამგვარად ყველა მცხოვრებლის მოთხოვნილება დაკმაყოფილებული იქნება: წყალი ექნებათ როგორც ქალაქის შუაგულში მცხოვრებლებს, ისე განაპირა უბნებისასაც. მიხაილოვი ამ მუხლში არ ეთანხმება ექსპერტების დასკვნას და განაცხადა, რომ იმათი შეხედულება შემცდარია, მგონია.

ორსავე მხარის სპეციალისტების შეუთანხმებლობამ ძალიან დააეჭვიანა ხმოსნები უპროექტოდ დამტკიცებულ ხელშეკრულობის მუხლებში და გაისმა მკაცრი საყვედური აჩქარებით ამგვარ მისს შემდგენლებზე, რაზედაც ქალაქის თავმაც გულახდით განაცხადა: მართალია, ჩვენ ხელშეკრულობა უკვე დავამტკიცეთ და ახლა-კი პროექტის ტეხნიკურ წვლილებზე ვდავობთო. კიდევ კარგია, თუ მუშაობის დაწყების შემდეგ მეტი არა აღმოჩნდა-რა სადავო ამ პროექტში! ექიმ ნაზაროვის სიტყვით, რაც მეტად დავუკვირდებით ბ-ნ მიხაილოვის პროექტს, მით უფრო მეტი აღმოჩნდება მაგისთანა არასასიამოვნო ამბავიო. და, ნეტა, სად იყვნენ იმ დღეს გამოსათხოვრად შეკრებილნი „ქალაქის მამები“, როცა ამ საშვილიშვილო საქმის ხელშეკრულობას სწერდნენ? რატომ მაშინვე არ წარმოადგენინეს კონტრაგენტს სრული პროექტი და არ შეამოწმებინეს სპეციალისტებს! დღეს-კი მეტი რა ჭანია, ამ ხელშეკრულობას უნდა დაემორჩილონ და ახალის საბჭოს მოვალეობა იქნება პირწმინდათ შეასრულებინოს იგი თავის კონტრაგენტს და აღნიშნულ უფლებათა დაცვით მაინც ნათლად და მტკიცედ დაიცვას ამ საქმეში ქალაქის ინტერესები, რომელიც ასე გაქელილი და მივიწყებულია დღეს განსაკუთრებით ჩვენს ქალაქში...

ამავე კრებაზე ქალაქის თავმა განაცხადა, რომ სახელმწიფო ქონებათა სამმართველო თავდებობას გვთხოვს იმის შესახებ, რომ ინჟენერი მიხაილოვი „ამხანაგობისათვის“ საჭირო სახელმწიფო ადგილის იჯარის ფულს (500 მ. წელიწადში) თავ-თავის დროზე შემოიტანსო. საბჭოც, რასაკვირველია, დაეთანხმა, დიდის სიამოვნებით დავუდგებით თავდებათ, ოღონდ მუშაობა დაიწყოს და წყალი გვაღირსოსო. უეჭველია, ინჟენერი მიხაილოვიც ამდენ საკანცელარიო დავიდარაბის შემდეგ ამ დღეებშივე მუშაობას შეუდგება...

ბოლოს 5 ივნისის კრებაზე ერთმა ხმოსანთაგანმა დაიძახა: დღეიდგან ჩვენი სახმოსნო მოვალეობის ვადა გადისო.

დიახ, დადგა ქუთაისის საბჭოს განახლების დღე, მაგრამ მოსალოდნელია-კი რამე ახალი ქუთაისის საბჭოში?! საერთოდ აქაურ კენჭობას შეჩვეულთაგან ბევრს არას მოველით, რადგან იგი მოკლებულია საიდეო ბრძოლას და დამყარებულია პირად სიმპატია-ანტიპატიაზე. სწორედ ამაზეა დამყარებული შემდეგნაირი დღევანდელი სააგიტაციო საშუალებანი: X. სასურველი არ არის ხმოსნათ ამოირჩიოთო, ავრცელებს ერთი ჯგუფის ადეპტი, რადგან ოთხი ექიმი გვყავს ჩაწერილი და მეხუთე რაღა საჭიროა, ეს ინტრიგანია, იმას ცენზი არა აქვსო, თუმცა ორთავეს უსაფუძვლობაში დარწმუნებულია ამის მთქმელი. აი, ბევრ ამგვარ სააგიტაციო საშუალებით შექნილ მომავალ ხმოსანთა სია უკვე გამოაქვეყნა გამგეობამ და მართლაც ხმის უმეტესობით ისეთნი არიან დასახელებულნი, რომელნიც ხმოსნებათ მხოლოდ კენჭის ჩასაყრელად თუ გამოდგებიან. სამაგიეროდ ხმის უმცირესობა ბევრს ისეთებს აქვს, რომელნიც გამოსადეგნი წევრნი იქნებოდნენ საბჭოში. მაგრამ, ვნახოთ, იქნება დღევანდელ განკითხვის დღეს წინანი უკან დააყენონ და უკანანი, სარგებლობის მომტანნი, წინ...

ისო.

—

### ახალნი წევრნი ქუთაისის სათ.-აზნაურო ბანკის განახლებულის ზედამხედველ კომიტეტისა

(ამორჩეულნი რწმუნებულთა კრებაზე ივნისის 5-ს)

**თ-დ სიმონ ნიკოლოზის ძე ლორთქიფანიძეს** სწავლა დასრულებული აქვს ვეტერინართა ინსტიტუტში და შემდეგ საექიმო ფაკულტეტი კიევის უნივერსიტეტში. თავდაპირველად მსახურებდა ჯარში სამხედრო ექიმად ჯერ ქუთაისში, შემდეგ ოზურგეთში და მერმე ისევ ქუთაისში. ჯერ კიდევ უნივერსიტეტის აუდიტორიიდგან, 1878 წლებში ის თანამშრომლობდა „დროებაში“. მისს ნაწერთა შორის ყურადღება მიიქცია და დიდი პოლემიკა გამოიწვია იმ წერილებმა, რომლებშიაც ის არკვევდა ფრიად საგულისხმო საგანს, თუ როდის უნდა შეუდგეს იდეების გავრცელებასა წერით თუ საქმით უმაღლესს სასწავლებლებში მოსწავლე ახალგაზდობა,— მაშინ, როცა უნივერსიტეტშია და სწავლობს, თუ უნივერსიტეტის კურსის დამთავრების შემდეგ? თემა, როგორც ჰხედავთ, იგივეა, რასაც არკვევდა ამ რამდენისამე თვის წინად „ივერია“-ში დაბეჭდილ წერილებში თ-დი კ. თუმანიშვილი.—თუ ხსოვნა არა მღალატობს, ერთსა და იმავე დასკვნამდის მივიდნენ ორნივე ავტორნი...

ქუთაისის ქალაქის საბჭოში იგი ერთი უხუცესი ხმოსანთაგანია და ჰხმოსნობს კიდეც არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც. საბჭოს ყოველს კომისიაში, რომელშიაც-კი ამოურჩევიათ, ყოველთვის მუყაითად უმუშავნია და არავითარს ხათრსა და პირადს ინტერესს არ გაუტაცნია.

1901 წ., როცა საჭირო შეიქმნა თ-დ ს. გ. წერეთელთან ერთად სხვა კანდიდატიც ამოერჩიათ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლობაზე, კენჭის ყრით ამოირჩიეს სიმონ ნიკოლოზის ძე ლორთქიფანიძე, რომელსაც მხოლოდ რამდენიმე ხმა მოუვიდა ნაკლები თ. ს. წერეთელზე. გუბერნიის წინამძღოლად მთავრობამ ს. ნ. ლორთქიფანიძე დაამტკიცა. შარშანვე, საქართველოს რუსეთთან შეერთების ასის წლის იუბილეს დღესასწაულობის დროს ს. ლორთქიფანიძეს ებოძა უმაღლესის კარის კამერჰერობა.

მას აქეთ იგი სცდილობს წესიერება შეიტანოს თავად-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულოს კანცელარიის საქმეთა წარმოებაში, მოუპოვოს თავ.-აზნაურობას საკუთარი შენობა და თავად-აზნაურობის ორიოდე გროშს მოეპყრას სიფრთხილითა და მომჭირნედ...

მომჭირნეობა მაინც სიყრმიდგანვე მოსდგამს თ-დს სიმონს, რაც ისე იშვიათია ჩვენს ბედოვლათს ქართველობაში. არსად არ არის ეს თვისება ისე საჭირო, როგორც ჩვენში. მაგრამ დღემდის უმრავლესობა ასე არ ჰფიქრობდა. ამის განსამარტებლად მოვიყვან ერთს ანეკდოტს, რომელიც ჩინებულად ახასიათებს, თ-დის სიმონის გარდა, თვით ჩვენის მოწინავე საზოგადოების შეხედულობას ამ ცოტა ხნის წინად:

ანტონ ლორთქიფანიძეს, თ-დის სიმონის ძმას და დიმიტრი ყიფიანის სიძეს, რომელსაც მომჭირნეობა მაინც-და-მაინც ვერ ემეგობრებოდა, ერთხელ ეწვია სოფლიდგან ბიძა—ძველი, ფაფანაკიანი თავადიშვილი, ტიპიური იმერელი, ვამეყ ლორთქიფანიძე. თავისიანმა სტუმარმა შეჰნიშნა, რომ მურაბებით სავსე ბუფეტის შკაფის კარი ღია იყო, რის გამოც მასპინძელი დასტუქსა და თვით ნახლი-კი გუნებაში ჩარჩა.—მეორე დღეს ვამეყი სიმონს ეწვია. სტუმარი კარ-მიდამოზედ დასეირნობდა და როცა შეასწრო, რომ კარებს ბოქლომი ედვა, გაოცებული თავადი ბიჭს დაეკითხა—ეს ბოქლომი რას ჰნიშნავსო?

— ასე იცის, ბატონო, ჩემმა ბატონმა. ჰკეტს, რომ ბიჭები არ შევიდნენ და კლიტე თვითონ აქვს ჯიბეში!..

უწინდელი ქართველი ყველა ოხუნჯი იყო და რაღა ვამეყი გამოერჩეოდა მათ შორის.

— რაო, ბიჭო?! ბიჭები არ შევიდნენ შიგ და კლიტე თვითონა აქვს ჯიბეშიო? გაოცებით შეეკითხა კვლავ მოსამსახურეს ბატონყმობის მომსწრე სოფლის თავადი, რომელიც ვერ შერიგებოდა ქალაქურის ცხოვრების წესს და უცნაურს მომჭირნეობას მისის ძმისწულისას...

— კი, ბატონო, კლიტე ჯიბეში აქვს, თქვენ თვითონ შეგიძლიათ ჰკითხოთ...

ვამეყმა გადიგდო ფაფანაკი გაჩეჩილს თმაზე, წაიშინა ხელი შუბლში და მოჰყვა მოთქმას (რასაკვირველია ხუმრობით):

— ვაიმე, საწყალო ანტონ! რა გაგამდიდრებს, შე უბედურო! შენ შაქარი და მურა-

---

მოსავლით, კალმახით, ვიდრე დანარჩენი საქართველოს კუთხეებიო.

დიდხანს ვათვალიერეთ ეს საოცარი ლოდები. აქვე შეგვხვდა ქვიტკირის საწნახელი ზედ-მობმული მილებით, რომელიც მახლობელ ნასოფლარში მიდიოდა. „აქ რო ცხვარს მოსწველიდნენ, რძეს საწნახელში ასხავდნენ და სოფელში ისე ჩადიოდაო“, გვიამბობდნენ გადმონაცემს მწყემსები. მართლა რომ რძისა და თაფლის [6]) ქვეყანაა დღესაც თრიალეთ-ჯავახეთი!..

მზე გადიხარა, მწყემსები დავითანხმეთ აბულის მთაზედ ავსულიყავით და გვენახა მათ მიერ ნაქები „ქოროღლის-ციხე“. ცხენებითვე ავედით ლოდიან ციცაბოზედ. მზე ჩადიოდა. დიდებული სურათი გადაგვეშალა თვალწინ! მთელი საქართველო შავის ზღვიდგან კასპიის ზღვამდე უღრან მთა-ველებით და ზოგან ფართო მინდვრებით ნისლ-ბურუსში გახვეული თვალ-წინ გვქონდა. ყარსსა, გუმბრსა, თითქო კაცი აგერ გადასძახებსო, ისე დავცქეროდით. აბულს თავზე, ეტყობა, ლოდის ციხე-გალავანი ჰქონია, იგი დღეს ნანგრევებია—ცხენები ლოდებში გავუშვით— ჩვენ ვიპოვეთ გამოქვაბული, დავანთეთ ცეცხლი და დაშიშინდა მწვადები. შებინდებამდის დიდებულ სურათს მზის ჩასვლისას ვერ გამოვერკვიენით. ბოლოს შებინდდა. თრიალეთურმა ღამის ქარმა, რომელიც მზის ამოსვლისას ყოველთვის ჰქრება ხოლმე, დაგვბერა გამოქვაბულშიაც. მწვადმა და შენაყრებამ ცეცხლის სიცხოველესთან ერთად შეგვამაგრა, მაინც მოვისხით ყველამ იაფინჯები და ცეცხლს შემოვუწექით გარშემო.

III

დაძინება არ იქმნებაო, გადავწყვიტეთ ყველამ და დავაკანონეთ, ყველას ნაცად-ნანახი რამ ეთქვა ჯერ-ჯერით. მწყემსს ილიას ერგო პირველში ჯერი და იმანაც გვიამბო: „კვეხნაში არ ჩამომართმევთ, რომ ვსთქვა: შმაგი ვყავ და ვარ ეხლაც ნადირობისა... მახსოვს, ენკენისთვე იყო. მთელი დღე ვიხეტიალე, მაგრამ მოკვლით ვერა მოვკალ-რა. შეღამდა და გაველ ტყის ერთ მინდვრიანზედ, წამოვწექ და მინდოდა მიმეძინა, ძირიდამ სიომ შემაწუხა, იმიტომ იქვე ერთ ქოჩორა მუხაზედ აველ, გავხლართ-გამოვხლართე ტოტები და გავწექ ზედ. ძეძინა კარგა ხანი. უცებ საშინელმა ხმაურობამ გამომაღვიძა. ვხედავ ხის ქვეშ მოცვივდა მთელი ბრბო პატარა, შავ, თმა-აბურძგნულ კაცებისა, რომელთაც ხან აქეთ გაურბინეს ხეს, ხან იქით, ვიდრე ერთმა მაღლა არ ამოიხედა და არ შესძახა: „არიქა, ბიჭებო! აქ, აგერ ხეზე წევსო“!.. ამისი თქმა და ხის გარშემო შემოხვევა ერთი იყო. ზოგმა ხეს დაუწყო პოტინი, ზოგი კბილებს მიკრაჭუნებდა, ზოგი ქვასა და ნაფოტს მესროდა. ბოლოს დაიძახეს: „ხე მოვჭრათ, ხეო“!.. და დაუშინეს პატარა ცულები. გაისმა საშინელი კაკუნი, ნაფოტი თოვლის ფერფლივით ცვივა აქეთ-იქით, მე შიშით ვკანკალებ, ცივ ოფლს მასხავს... უცბად გაისმა მამლის ყივილი.—„არიქა, ავაჩქაროთ მარტის მამალი არ იყოსო!“ შესძახეს ყველამ და უფრო გამალებით დაუშინეს ცულები ხეს. თან ერთმანეთს ამხნევებდნენ: „არა, მარტის მამალი არ იქმნებაო!..“ გავიდა კარგა ხანი და მეორედაც დაიყივლა მამალმა—„არიქა“, მარტისაა ეგ სატიალოვო“! და უფრო მოუხშირეს ცულებს. ეხლაც ზოგნი გულს უკეთებდნენ დანარჩენთ: „მარტის მამალი არ არისო“... უცბად მესამედაც გაისმა მამლის ყივილი. „თავს უშველოთ, თავს! მარტისა ყოფილაო“!! შესძახეს ყველამ და ელდასავით გაჰქრნენ... ირაგრაგა კიდეც... მე გულ-წასულსა და საშინლად გაფითრებულს ახლა-ღა მომიბრუნდა გული... პირჯვარი გადვიწერე, ჩამოველ ხიდგან და ორი წალდის დაკვრით დავუშვი ძირს ქაჯებისაგან გადაჭრილი უშველებელი მუხაო“... დაათავა ილიამ.

IV

გლახას ჯერია, გლახასიო, ვსთქვით ყველამ და გლახამაც აღარ დაახანა: „ახოებში [7]) კაი სიმინდები მოვიდა იმ წელს, მაგრამ ღამე დათვებმა დაუწყეს ჩანაგი. ამიტომ დავანთებდით ქოხებში უშველებელ ცეცხლს და თოფით ხელში ვყარაულობდით. რამ წამს სიმინდში ლაწა-ლუწი გაისმოდა, თოფს იქით დავგრიალებდით და ავტეხდით ვაი-უშველეგბელს... ასეთის ფხიზლობით მოღლილს ერთ ღამეს ცეცხლთან ჩამძინებოდა ქოხში. თოფიც მუხლებში ჩამრჩენოდა და ზედ დაყრდობილი ვხვრინავდი. ზარმაცად გამეღვიძა და თვალებიც ნელ-ნელა გავახილე. შევხედე ჩემ პირდაპირ ცეცხლს მოსჯდომოდა უშველებელი და გულ-გასახეთქი რაღაც რამ არსება. თუმცა სახე კაცისა ჰქონდა, მაგრამ საზარლად შავი დაღრენილი, თეთრ, უშველებელ ეშვებით, საშინელი თვალებით, ტანიც მთლად ბალნით ჰქონდა შემოსილი, თითებზედ თითო მტკაველი ფრჩხილები დაზრდოდა. მე თოფის აღება მოვისურვე, მაგრამ თან ვშიშობდი, ვაი თუ დამასწროს, ზედ გადმამაწვეს და ჩამახრჩოს-მეთქი. ამ ფიქრისაგან ვერ გამოვკვლეულიყავ, რომ ქაჯმა უშველებელი ბრჭყალები მხარზე დამაწყო, მიწაზედ მაგრა დამსვა და თან დაცინვით მითხრა: „იჯექ შენთვის, გარჯა აღარ გაჰბედოვო!“ შიშით ზარ-დაცემული დავმორჩილდი და ჯდომელამ თვალები დავხუჭე, თითქო საზარელ სანახაობისათვის თვალი უნდა მომერიდებინა. უცბად ელვასავით თავში გამიელვა აზრმა... მე დავავლე ხელი გავარვარებულ მუგუზალს და სისწრაფით დავუშინე ახმახ ქაჯს... საშინელი ტრუსის სუნი ავარდა. ქაჯმა შეჰღრიალა და წამოხტა. მე უფრო გამალებით დავუშინე მუგუზალი... ქაჯი გარბოდა და საშინლად ღრიალებდა. ამ დროს უკანიდან თოფიც დავაყოლე. ქაჯმა უარესად შეჰყვირა... მთა ბარი შეინძრა და აქეთ-იქიდგან მოისმა საშინელი ყიჟინი და ძახილი: „არიქა, ბიჭებო, მოკლეს ყურ-დიდა! უშველე კუდ-გძელაო“!..

— შველა-კი არა, ახია მაგაზედ!—ესროლე მეორეც, ძმობილო, ესროლე, ჩააძაღლეო!— დამიყვირა ვიღაცამ ახლოდან... ერთიც, ბიჭო! ერთიცაო! მატანდა ძალას. მე დავაპირე მეორეც მესროლნა, მაგრამ ამ დროს გამახსენდა: ერთი სროლით ქაჯი დაიჭრება, მაგრამ თუ მეორეც ესროლე, მორჩებაო. ამ დროს მივხვდი კიდეც, რომ ეს ხმაურობა და ხერხები სხვა ქაჯების უნარი იყო. უნდოდათ გავებრიყვებინეთ, რომ მეორეც მესროლა და ქაჯი მორჩენილიყო“... დაათავა გლახამ.

V

„ასთავო, შენა სთქვი და, აბა, კარგისაო“, უთხრეს მწყემსებმა ამხანაგს და იმანაც გვიამბო:

„იქნება გაგიგონიათ, რომ ახალ წელიწად დღეს ასთავიანთ კერაში საახალწლო კუნძი არ გაჩაღდებაო და მართალიც არის. ამ დღეს ყველას კერაში კუნძს გუზ-გუზი გააქვს, ვინც შეუჩუჩხუნებს: „ამდენი ცხვარი, ამდენი ძროხა, ამდენი ღორი და ქათამიო“, უთვალავი ნაპერწკლები ცვივა აქეთ-იქით. ჩვენი კუნძი კი, გატეხილს გეტყვით, ბჟუტავს და ნაპერწკლებს ცულითაც ვერ გააყრევინებთ. თუ რად მოგვივიდა ეს, ცხონებულმან პაპაჩემმა ასე გვიამბო: „გაზაფხულზედ, მშვენიერს მთვარიანს ღამეში, ხახვი დაგვჭირდა საჭმლისთვის, მეც შეღერებულ ხახვის დასაგლეჯად შეველ კაკლებით და ხეხილებით დაჩრდილულს ჩვენს ბოსტანში. ბოსტანში ხომ მშვენიერი რუ ჩამოჩუხჩუხებს. აი, იმ რუის პირას, კვლებში თვალი შევასწარ ერთ ციცქნა ლამაზ ქალს, რომელსაც გიშერივით შავი თმები მიწაზედ დასთრევდა. მივეპარე და თმებში ვსტაცე ხელი. ქალმა დაიკივლა, გაიწია და ხელში მარტო თმის ბლუჯა შემრჩა. ცალ ხელში თმის ბლუჯით, ხოლო მეორეში ხახვით შეველ სახლში და ნანახს ვუამბობდი, რომ კარებთან მოდგა ის ქალი ტირილით და გვემუდარებოდა მიგვეცა თმა. ყველანი მივხვდით, რომ ის იყო ალი. მე თმა კერასთან დავმარხე და ზედ მოლდგან ხის ჯვარი დავადე. დიდხანს იქვითინა კარებთან ალმა. მერე შემოვიდა სლოკინით გულ-დაქანცული და დაძმარებული ჩამოჯდა ტახტზედ. მეორე დღეს ვუთხარი ალს: „ადე, გვემსახურე, სახლი დაგავე მეთქი!..“ ალი გავიდა გარეთ, შემოიტანა მიწა-ნაცარი და დაუწყო სახლში ფანტვა. მაშინ მე უკულმა ვუბრძანე: „სახლი მოსდე ნაგვითა მეთქი!“ იმანაც დინჯად აიღო ცოცხი და მშვენივრად დააკრიალა იქაურობა. გავიგეთ, რომ უკულმა უნდოდა ბრძანება, თუ გვინდოდა ალს რამე სასარგებლო გაეკეთებინა ჩვენთვის. სამი წელიწადი ვიმსახურეთ. მშვენივრადაც აკეთებდა ყველაფერს, მხოლოდ მუდამ სევდიანი იყო, დაღვრემილი. ბოლოს, აღდგომ

[6]) სინაზე აქაურ თაფლისა საოცარია. ადგილობრივი გირვანქა ექვს შაურად იყიდება და დიდი ბაზარიცა აქვს.

[7]) ახო ტყის ნაკაფზედ გაწმენდილი და გაკეთებული სახნავი მიწაა.

...ები გაგიშვია კარლიაში და შენ ძამის-კი, აგერ, რაზე დაუდვია ბოქლომი!..

თ. მაგმაძე.

(შემდეგი იქნება)

# კავკასია

**სოფ. ბათაყო** (კავკავის მაზრა). აგერ ერთი თვეა, რაც, საშინელი გადამდები სენი—ყელჭირვება, მუსრს ავლებს ამ სოფელში ბავშვობას. ჯანა პირველად ეს სენი სოფ. ხუმელაგაში მძვინვარებდა და იქიდან ბათაყოში გადმოვიდა. ოსებში ძრიელ გვიან ისპობა ხოლმე გადამდები სენი; მიზეზი ის არის, რომ დედაკაცებმა მორიდება არ იციან გადამდებ სენით ავადმყოფისა და გარდაცვალებულისა. ამიტომ გადამდები სენი ერთ სოფლიდან მეორეში გადადის ხოლმე და არ ისპობა.

26-ს მაისს, სოფ. ყაყადურში, ერთის ოსის სახლში პატარ-ძალი მოიყვანეს და ეზოში უმაწ... ქალ-ვაჟთ ჩვეულებრივი ცეკვა-თამაში ჰქონდათ გამართული. ორმა ქალ-ვაჟმა ცეკვა რომ დაიწყეს, ვაჟმა რევოლვერი ამოიღო და მოთამაშე ქალის წინ უნდოდა დაეხალა, სწორედ ამ დროს, ლევორვერის ტყვია მოჰხვდა ფეხში მოთამაშე ქალს და გულშეღონებული დაეცა ძირს. საბრალო ქალი იმავე დღესვე კავკავში წაიყვანეს საავადმყოფოში.

ამავე სოფლის განაპირას, სოფლის მცველები შეეხვნენ ქურდებს და დაუშინეს ერთმანერთს თოფები. ქურდები შეშინდნენ, დასტოვეს ორი მოპარული ცხენი და გაიქცნენ.

მოზდოკიდამ ჩამოსულებმა გვიამბეს, რომ მოზდოკში მუცლის სახადი არის ძრიელ გავრცელებული და ძრიელაც აზარალებს მცხოვრებთ, მომეტებულად ჯანით სავსე ქალ-ვაჟთაო. მოსავალს კარგი პირი უჩანს მოზდოკისკენ.

# რუსეთი

საერო განათლების სამინისტროს, ბეითალთა რიცხვის სიმცირის გამო, განკარგულება მოუხდენია, რათა მომავალ სამოსწავლო წელს საბეითალო ინსტიტუტებში (ვარშავისა, ხარკოვისა, იურიევისა და ყაზანისა) ორჯერ მეტი რიცხვი იქმნეს მიღებული სტუდენტთა, მაგრამ ვარშავის და იურიევის ინსტიტუტები უსახსრობის გამო ვერ სცნობენ შესაძლოდ წელსვე ამ განკარგულების სისრულეში მოყვანას.

— გ. ვოლკვი მოგვითხრობს „Русс. Инв.“-ში თავის განცვიფრებას, რომელიც გამოუწვევია სამხედრო საქმით მთავრობის მიერ დაწუნებულ ახალ ჯარის-კაცთ «ჩვენ—მე და ვახმისტრი—მივუახლოვდით დაწუნებულთას» ჯგუფს და მარჯვნივ მხარეზე შევნიშნეთ 3—4 ცოცხალი ჩონჩხი, რომელთა სახეზედაც სიკვდილი იყო აღბეჭდილი! მეხუთეჯერ სრულებით დაუსრულებელი ბალღი იყო, გვერდით უდგა ნახევრად იდიოტი, იქვე მოჩვენა შემზარავი ხვეულება, რომელიც უფრო მომაკვდავის გმინვას ჰგავდა და არა ხველებას. დანარჩენნიც ზოგი კუზიანი იყო, ზოგიც სრულებით ბრმა და სხვ. თიაქარი, ეგზემა, მღერი (მუნი), იარა, ერთი სიტყვით, გარდა შავის ჭირისა და ხოლერისა, ყოველგვარი სენი თვალწინ გვედგა». „მეტად დავარდნილი სალხია, თქვენო აღმ..., სთქვა ვახმისტრმა,—ნუ-თუ ასეთები უნდა მიიღონ ჯარში“?

„სწორედ მე თვითონაც არ მესმის, რად დებულობენ ასეთ ჯარის-კაცებს“!

რასაკვირველია, არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ჯარში გასაყვანი ახალგაზრდა ძალით იმახინჯებს თავს, ამას განსაკუთრებით ებრაელები სჩადიან, მაგრამ ექიმობა არ იყო საჭირო, რომ ამ ჯგუფიდგან, რომელიც 150 კაციდგან შესდგებოდა, $^{9}/_{10}$ მაინც სამსახურისათვის უვარგისად ეცნოკაცს!»

რითი უნდა აიხსნას ყოველივე ესაო, შენიშნავს გაზეთი.

— მოსკოვში გაუგიათ, რომ ამ უკანასკნელ ხანებში ლ. ნ. ტოლსტოი უკეთ არის და ახლა მომავალში *„Ясная поляна“*-ში აპირებს წასვლას. მკურნალებმა მას კუმისის სმა ურჩიეს.

— ძალაში რჩება ის განკარგულება, რომლითაც გიმნაზიაში კურს-დამთავრებულნი ვალდებულნი არიან უსათუოდ იმავე ოლქის უნივერსიტეტში შევიდნენ. ამის გამო, როგორც „Русское Слово“ იუწყება, მოსკოვის უნივერსიტეტში მიიღებენ წელს უმეტეს ნაწილად მოსკოვის ოლქის გიმნაზია-დამთავრებულებს.

— საერო განათლების სამინისტრომ ნება დართო მოსკოვის საიმპერატორო თეატრის არტისტის თ. ი. შალიაპინის სახელობაზე მოსკოვის 1-ლ გიმნაზიაში სტიპენდიის დაარსებისა. სტიპენდიისათვის თანხა შემოსწირა აზნაურის ქალმა მარტინოვისამ; ეს ფული იმ კონცერტიდგან შემოსულა, რომელიც მან შალიაპინის მონაწილეობით გამართა.

— თიბათვის 15-დგან ს.-პეტერბურგის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ნება-რთვით დაიწყება სწავლა იმ მოკლე-ვადიან კურსებზე, რომელიც იმართება ზაფხულობით მასწავლებელ ქალთათვის, რათა მათ შეისწავლონ მეფუტკრეობა და კულინარული ხელობა.

—გზათა სამინისტროს წარედგინა განსახილველად ის კითხვები, რომელიც უკვე შეიმუშავა რკინის გზის მოხელეთა საერთო კრებამ: პასაჟირს უნდა გაეგზავნოს ის ბარგი, რომელმაც დანიშნულ სადგურს დროით ვერ მიაღწია; ბარგის პატრონს უნდა გადაუხადონ ის ხარჯი, რომელიც მას მოუვიდა ბარგის დაგვიანების გამო; რაოდენობა ხელის ბარგისა, რომელიც შეუძლია პასაჟირმა თან იქონიოს, და რა პასუხის გება ჰმართებს რკინის გზას ამ ბარგის შესახებ.

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** ახალ სამინისტროს პროგრამის კითხვის დროს საუკეთესო სიტყვა წარმოუთქვამს სოციალ-დემოკრატთა წინამძღოლს ჟორესს. ოთხი წელიწადი ჟორესი პარლამენტში აღარ იყო, ამიტომ ბევრნი ძალიან მოუთმენლად მოელოდნენ მჭევრმეტყველ ორატორის სიტყვას. როდესაც ჟორესი ტრიბუნაზედ ავიდა, მემარცხენენი საოცარის ტაშის ცემით მიეგებნენ. ამავე დროს კონსერვატორმა ბოდრი დ'ასსონმა ირონიულის კილოთი დაუძახა: „დიდად კმაყოფილი ვარ, რომ ხელახლა გხედავთო“. ჟორესმა ყურადღება არ მიაქცია და თავის მჭექარე ხმით დაიწყო: „მუშათა დასი მზად არის მხარი დაუჭიროს სამინისტროს დემოკრატიულ რეფორმათა განხორციელების საქმეში. ასე იქცევა დასი იმიტომ, რომ ამავე დროს იგი იმ უმაღლეს მიზანს ესწრაფვება, რომელიც გაერთიანებულმა პროლეტარიატმა აღნიშნა. პროლეტარიატის საეკონომო ემანსიპაციისათვის საჭიროა ისეთი რეფორმები, რომელთაც უნდა მიანიჭონ მუშებს თავისუფლება და განათლება. ამიტომ, როგორც დემოკრატი და სოციალისტი, მხარს დავუჭერ იმ რეფორმებს, რომელნიც ამ მიზნის განხორციელებას ხელს შეუწყობენ. ამ მხრივ მთავრობის პროგრამა კმაყოფილია. მაგრამ ამ პროგრამას ერთი არსებითი ნაკლი აქვს: იგი პირდაპირ და ერთბაშად არ იძლევა საგრძნობელ ნაყოფს. პირველი ადგილი მთავრობის პროგრამაში საფინანსო რეფორმებს ეკუთვნის. ჯერ ისევ მირაბომ სთქვა, რომ დეფიციტი—რეაქციის სალაროაო. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მთავრობა ხელმომჭირნეობას გამოიჩენს და აიცდენს თავიდგან დეფიციტს, ისე-კი, რომ ახალ გადასახადებს არ შემოიღებს“.

აღნიშნა-რა შემდეგ, რომ მთავრობა უფრო მხნედ უნდა მოქცეულიყო შემოსავლის კვალობაზედ გაწერილ გადასახადისა, ეკკლესიის სახელმწიფოსაგან განშორებისა და შრომის დაცვის საქმეებში, ჟორესმა განაგრძო: „რაც შეეხება სამინისტროს წინადადებას სამხედრო ბეგრის ვადის შემცირების შესახებ, მუშათა დასის აზრით ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია (ტაშის ცემა მარცხნივ და პროტესტი მარჯვნივ). ყველა სახელმწიფოს მუშათა პროლეტარიატი, რაც დრო გადის, მით უფრო მხნედ და დაჟინებით თხოულობს, რომ ევროპამ იარაღი აიყაროს. ნუ-თუ დრო არ არის, ამ გონიერმა აზრმა გაიმარჯვოს? ვინ იცის, იქნება სხვა ხალხნი საფრანგეთისაგან მოელიან ნიშანს, რომ შემდეგ იმის მაგალითს მიჰბაძონ. ყოველს შემთხვევაში დროა უკუ ვაგდოთ ორ-პირული და ორ-აზროვანი პოლიტიკა ამ საქმეში. გამბეტას ფორმულამ: „ზოგიერთ საგნებზედ უნდა ვიფიქროთ და კი არ ვილაპარაკოთო“, მავნე გავლენა იქონია (პროტესტები მარჯვნივ). რა უშლის საფრანგეთს საჯაროდ ურჩიოს ყველას იარაღის აყრა (ხმა-მაღალი პროტესტები მარჯვნივ). თუ ჰფიქრობთ, რომ საფრანგეთისთვის ეს საკადრისი არ არის, მაშინ რადა ჰგზავნიდით დელეგატებს გააგის კონფერენციაზედ? ჩვენი დასი ჰფიქრობს, რომ მშვიდობიანობისა და ომის საქმის გადადება აღარ შეიძლება. იგი თავ-გამოდებული მომხრეა მშვიდობიანობისა, მაგრამ ამავე დროს ჰფიქრობს, რომ ომი სჯობია ეხლანდელ გამოურკვეველ მდგომარეობას, როდესაც ყველანი იარაღში სხდებიან. სხვა დასები დიდ შეცდომასა სჩადიან, რომ სოციალისტებს მიანიჭეს მონოპოლია ამ საგანზედ პირდაპირ და პატიოსნად ლაპარაკისა (საშინელი პროტესტი მარჯვნივ და ცენტრში, ტაშის ცემა მარცხნივ)“.

ამით დაამთავრა ჟორესმა თავისი სიტყვა.

**სამხრეთი აფრიკა.** ინგლისურმა გაზეთებმა მხოლოდ ეხლა გვაცნობეს, რომ 4 ივნისს, სწორედ იმ დროს, როდესაც ვერიენიგში სამშვიდობო მოლაპარაკება იყო, ბრძოლა მომხდარა ამ ქალაქის მახლობლად. როგორც სიიდგანა სჩანს, ბურებს ამ დღეს მოუკლავთ ერთი პორუჩიკი, ხოლო მეორე დაუჭრიათ. ყველას უკვირს, რად მოხდა ეს ბრძოლა, როდესაც მოლაპარაკების დროს სამტრო-მოქმედებანი შეჩერებული იყო. ინგლისურმა გაზეთებმა არც ის გადმოგვცეს, რომ ყველა წინამძღოლმა და რაზმმა არ აიყარა იარაღი და არ დაემორჩილა ინგლისს. ეხლა ბრძოლის ველზედ ბურთა რამდენიმე რაზმია თურმე, რომელნიც არაფრის გულისათვის არა ჰფიქრობენ ინგლისთან შერიგებას.

— გმირმა დევეტმა ძალიან შეუწყო ხელი თურმე ბურების დამორჩილებას და იარაღის ახსნას. ფრედეფორტ-როდში მან რამდენსამე რაზმს მოუყარა თავი. იქვე იყო გენერალი ელიოტი. რაზმები დამწკრივდნენ და იარაღის გადაცემას შეუდგნენ. ყველა ბური იარაღის გადაცემისას ატყობინებდა თავის სახელსა, გვარს და ადგილს, სადაც სცხოვრობს. როდესაც ყველამ იარაღი გადასცა, შეკრებილ ბურებს გენერალმა ელიოტმა მოკლე სიტყვით მიჰმართა. გადასცა, რომ მეფე ძალიან გახარებულია ომის დამთავრებისა გამო და ძალიან მოწადინებულია, რომ ბურები რაც შეიძლება მალე შეუდგნენ თავიანთ ფერმებში მშვიდობიან ცხოვრებასაო. ამ სიტყვების შემდეგ მეფის სასახელოდ ბურებმა „ურა“ დაიძახეს. მერე ფელდკორნეტმა რაატმა მადლობა გადაუხადა ელიოტს მეფის სიტყვების გადაცემისათვის და სთქვა, ბურები ისევე სინიდისიერად და პატიოსნად ემსახურებიან ახალ მთავრობას, როგორც ძველს ემსახურებოდნენო. შემდეგ ბურებმა ბაშფორთები მიიღეს და იმავე წუთს ბავშვთა და დედაკაცთა ბანაკებისაკენ გასწიეს თავიანთ ცოლ-შვილის სანახავად. საღამოზედ დევეტი და ელიოტი რეიპირში წავიდნენ, სადაც 1,500 ბურმა აიხსნა იარაღი. იარაღის ტარება ამის შემდეგ შეუძლიანთ მხოლოდ ბურთა გენერლებს, რაზმის უფროსებს და ფელდკორნეტებს.

— კრიუგერმა გადასწყვიტა თურმე, რომ სამხრეთ-აფრიკაში აღარ დაბრუნდეს. მოხუცი ჰოლანდიაში რჩება. ამბობენ, ჰოლანდიაში კრიუგერთან იმის ოჯახის ერთ-ერთი წევრი იცხოვრებსო. სამშობლოში დაბრუნებას კრიუგერი წინადა ჰფიქრობდა, მაგრამ მახლობელთ დაუშლიათ. შეჰშინებიათ, გაველანებულ ადგილების ნახვამ არ გაამწაროს და უიმისოდაც სუსტ და მოუძლურებულ მოხუცს სიცოცხლე არ მოუსპოსო.

**ანტილიის კუნძულები.** სენ-მარტენის დაღუპვის დროს სიკვდილს ერთად-ერთი კაცი გადარჩა—ზანგი რაულ სარტუ, რომელიც ღრმა სარდაფში იყო დამწყვდეული მაშინ, როდესაც ნაცარ-ტუტამ და ცეცხლის წვიმამ ბოლო მოუღო ქალაქსა და 30,000 სულს. აი, ერთი ნიუ-იორკელი გაზეთი რას მოგვითხრობს ამის შესახებ: „ვერც ერთი რომანი, ვერც ერთი ნაწარმოები პოეტის ფანტაზიისა ვერ შეედრება ამ ზანგის გადარჩენის ისტორიას. ამ შემთხვევაში სინამდვილემ ბევრით გაუსწრო ოცნებასა და გამოგონებას. დაიღუპა ოცი და ათი ათასი ქალი და კაცი, რომელთაგან ბევრს სახელი, პატივი და [illegible] ჰქონდა დამსახურებული, ბევრი [illegible] სცხოვრობდა, ტკბილად დროს ატარებდა თავის ოჯახში; ეს ოცი და ათი ათასი კაცი თვალის დახამხამებაზედ გამოესალმნენ წუთი-სოფელს; გადარჩა მხოლოდ ზანგი, თავის ავ-კაცობით და ცუდ საქციელით ცნობილი ადამიანი. ყოველს ეჭვს გარეშეა, ეს ზანგი რომ კარგი კაცი ყოფილიყო, ისიც სხვებთან ერთად დაიღუპებოდა. გადარჩა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ცუდი კაცი იყო, რის გამოც საპყრობილეში იჯდა, მიწის ქვეშ. უთუოდ, ამ მოუსვენარ ზანგს საჭმელსაც-კი არ აძლევდნენ რიგზედ... ზანგს გაუგონია თავის სტუსაღოში გრგვინვა და ხმაურობა ვულკანის ამოხეთქისა; სტუსაღოს კედლები ძალზედ ინძრეოდა თურმე. ზანგი მიწის ქვეშაც-კი ჰგრძნობდა ალს და სიცხეს მიწიდგან ამოხეთქილ ნაცარ-ტუტისას. საოცარი სიჩუმე ჩამოვარდნილა ხმაურობის შემდეგ; მიხვდარა, რომ რაღაც უბედურება მოხდა, რომ ხალხი დაიღუპა. სასოწარკვეთილებას მოსცემია ზანგი. უფიქრია, მეც ვეღარ გადავრჩები სიკვდილსაო. ზანგი კარებს მიჰვარდნია, მისწოლია ძალზედ და გაუმტვრევია; გავარდნილა მეორე ოთახში, მაგრამ მაშინვე უკან დაბრუნებულა: ოთახი ცხელი ფერფლით იყო სავსე და თონისებური სიცხე იდგა. შორეულ კუნჭულში მიმალული ზანგი მოელოდა თავის ბედის წერას. მხოლოდ ოთხის დღის შემდეგ, დაუწყვია ყვირილი შიმშილისა და წყურვილისაგან გამწარებულ ზანგს. გაუგონია ყვირილი მახლობლად მყოფ რაზმს, რომელიც გვამებსა სწავლდა, გაუთხრია მიწა და მისუსტებული ზანგი გადაურჩენია. ეს ზანგი საინტერესო კაცად გადაიქცა, რადგანაც იგი ერთად-ერთი სენპიერელია, რომელიც უბედურების დროს ქალაქში იყო და სიკვდილს გადარჩა“.

# სხვა-და-სხვა წერილები

### ვუჩინოს სოია

სოია არის ერთ-ნაირი ლობიო, რომელსაც დასავლეთ საქართველოში ეძახიან „ქვალობიოს“ ან „ძაძა-ლობიოს“. ქვა-ლობიოს ეძახიან იმიტომ, რომ ეს ლობიო ძალიან ძნელად იხარშება. სანამ სოიას მნიშვნელობისა და მის მოყვანის შესახებ ლაპარაკს დავიწყებდეთ, საჭიროდ ვრაცხ მისს ღირსებაზე მოვახსენო მკითხველს ორიოდე სიტყვა, რომელიც მომყავს ბ-ნის ა. ე. ვუჩინოს წიგნაკიდგან „Соя, какъ одинъ изъ лучшихъ пищевыхъ и кормовыхъ продуктовъ растительнаго царства. А. Е. Вучино“.

ქიმიურის შინაარსით, პროფესორების რეინისა და კრასნოვის აზრით, სოია არის ერთადერთი მცენარე, რომელიც უახლოვდება ხორცს. პურის მარცვლებთან შედარებით სოია თავის საკვებ ნივთიერებით ყველაზედ წინ სდგას: ის ნივთიერებანი, რომელთაც კაცის სხეული ითვისებს, სოიაში ერთ ნახევარჯერ მეტია, ვიდრე ხორბალში (დიკაში) და ერთი მეექვსედით მეტი, ვიდრე ჭვავში (рожь), პროტეინები ორ ნახევარჯერ მეტია, ვიდრე ხორბალ-

---

...ღამეს, ყველანი ეკკლესიაში წავედით ლიტონიაზედ. შინ დარჩა ალი და ერთი პატარა ბიჭი. თურმე დაუწყებს ხვეწნას პატარა ბიჭს: „ჩემი თმა კერას ქვეშაა, ამოიღე და მამეო“; ცოდვით აავსებს ყმაწვილს, ისიც ამოიღებს და მისცემს; თითონ ჯვარის შიშით ახლო ვერ უდგებოდა. ამდენი ხნის დაქრუშულს სახე თურმე საშინლად გაუნათლდა. სიხარულისაგან შეხტა, შეითამაშა და შესძახა: „ჩემი ტანჯვისთვის ასთავიანთ ახალ-წლის კუნძიც-კი ჩაჰქრობიათო“! გავარდა და გაშპა მას აქეთია. ასე მიამბო პაპაჩემმაო“, სთქვა მწყემსმა და გაჩუმდა.

VI

ჯერი ნიკოლაზედ მიდგა და იმანაც დაიწყო: „მშვენიერი ნათლობა ჰქონდა ხლაპიაშვილს. დაპატიჟებულნიც ბლომად ვიყავით. შემოდგომა იყო, გულუხვობა... ღვინო პირდაპირ ქვევრიდგან მოჰქონდა და მერე რა ღვინო! შუაღამე გადვიდა, მასპინძელს გამოვეთხოვენით და სახლებში წაველით. ჩვენკენ მშვენივრად გატკეცილი გზა მოსდევდა პატარა მდინარის პირ-პირ და, როგორც მდინარე, ისე გზა, ტყეში მიიხლაკნებოდა, მთვარე შიგა-და-შიგ ანათებდა ხეებში და აპრიალებდა თეთრად, როგორც გზას, ისე მდინარეს. მდინარე ცელქად მოჩუხჩუხებდა—მოშხუოდა და ფოთლების შრიალთან ერთად რაღაც იდუმალი ხმაურობა იდგა. მე დინჯად და დაფიქრებით მივდიოდი. უცბად უკანიდგან ფეხის ... და ხმაურობაც შემომესმა. მე შევდექ—ყველაფერი მიჩუმდა, გავუდექ გზას, ხმაურობა და ფეხის ხმა უფრო ცხადათ მომესმა. შევდექ და ყველაფერი კიდევ დადუმდა. ცოტა აჩქარებით წაველ. ზურგთ უკან ფეხის ... გახშირდა და ხმაურობა გაძლიერდა... ...ოს მკაფიოდ მომესმა: „გამარჯვება, ნიკოლოზ! მოიცა, ნიკოლოზ!“ მე შიშით უკან ვეღარ მივიხედე, ფეხი უფრო გავაჩქარე. ვგრძნობ, რომ უკანიდგან ვიღაცანი მომეწივნენ, გვერდშიაც-კი ამომიდგნენ და მეძახიან: „მოიცა, ნიკოლოზ“! შედექ, თუ კაცი ხარ! უცებ ერთი უშველებელი და საზარელი ვაჟკაცი წინ გადამეღობა, ხელი გამომიწოდა და დამძახა: „გამარჯვება, ნიკოლოზ!“ ელდასავით გავიძერ უკან, ქამარში გარჭობილი დამბაჩა და შიგ გულში დავაჯახე უცნობს!.. გაისმა საშინელი წივილ-კივილი, ხარხარი ფეხის ხმა გაქცეულ ქაჯთა!.. მეც უკან გავიქეც მასპინძლის სახლისკენ და შიგ კარებში წავიქეცი... ბრაგუნზედ სანთლით მასპინძელი გამოვარდა იქ დარჩომილ სტუმრებით. სულშეხუთული, კრიჭა-შეკრული, ცივ-ოფლში გავლებული რაღაცას ვლუღლუღებდი და ვერც-კი ვახერხებდი მეთქვა, რაც დამემართა. აი, შელოცვა, წყლის სხმა, პირჯვრის წერა, სანთლის შემოვლება... როგორც იყო ჩამძინებოდა და მხოლოდ მეორე დღეს-ღა ვუამბე ჩემი თავ-გადასავალი“...

VII

„თრიალელო, შენი ჯერიაო“, ვუთხარით დარჩენილ მწყემსს, რომელიც თრიალეთზედ ნაოხრებს შერჩენილი ქართველთაგანი იყო და ამანაც გვიამბო: „ჩვენს ოხრად-ტრამლად დარჩომილ ნაოხრებს ბევრი უცხო ხალხი დაეშენა, მაგრამ ყველას თათრობა სჭარბობს... იმიტომ ასე ხშირია თრიალეთზე თათრის გორხანა (სასაფლაო). მთვარიანი ღამე იყო. მხარზედ ჩომბახ-გადებული მივეშურებოდი შინ და თათრის გორხანას ჩავუარე. ერთი მშვენიერი ფუნთუშა ლეკვი ზედ გზის-პირას გამოყუჟებულიყო. მე დასაჭერად გამოვეკიდე, ბევრი ვეწვალე, მაგრამ მაინც დავიჭირე, ჩოხის კალთაში გავიხვიე და შინ მივიყვანე. ჩვენები ვახშმად ისხდნენ. ვახშამთ უკან ლეკვმა წკავ-წკავით აიკლო იქაურობა და ალარავის გვეძინებოდა. მაშინ ქვითკირის უშველებელ გომში შევაგდე, მაგრამ ქვითკირის სქელ კედლებიდანაც ისმოდა უსიამოვნო წკავ-წკავი გათენებამდის. გათენებისას ყველა გაჩუმდა და, ავდექ თუ არა, გომში შეველ. ლეკვი არსად სჩანდა. ძებნა დავუწყე. ჩავიხედე ბაგაში და შიგ-კი უშველებელი მკვდარი თათარი გაძაბულიყო პირქვე. თავ-ზარ დაცემული გამოვვარდი კარში და მოხუც ბიძაჩემს ვუამბე ყველაფერი.

ბიძიამ მითხრა: საღამოზედ იგი მკვდარი ისევ ლეკვად იქცევა, წაიყვა და იქვე გაუშვი, სადაც დაიჭირეო. საღამოთი ასეც მოხდა. დავიჭირე ლეკვი და ისევ გორხანაზედ გავუშვი.

მას აქეთ, როცა-კი ღამე გორხანებისკენ მომიხდება ხოლმე შევლა, ლეკვთა წკავ-წკავი ყურებს მიჭედავს და მეც მალე გავურბენ ხოლმე გორხანას გვერდზედ.“

ასე დაათავა თრიალელმა და ამასთან გათავდა მორიგეთა სალაპარაკონიცა.

VIII

ყმაწვილო, შენი ვალია, ეუბნებოდნენ მწყემსები ვანოს—გვიამბე რამე—მთვარე საცაა ჩავა და რიჟრაჟი ცას გააწითლებსო. მე წილში არ მთვლიდნენ, რადგან ისტორიულ წარსულისას ყოველ ღამ ბლომა ამბებს ვეუბნებოდი.

ვანომ შეისმინა მწყემსთა თხოვნა და დაიწყო თხრობა ძველ ბერძენთა მითოლოგიიდან. ახსნა, რა მდიდარის ფანტაზიის ერი იყო უწინ ბერძნობა. როგორ ყოველ ხეს, ყვავილს, საგანს სულდგმულად ჰხდიდნენ. „აი გინდა მგლოვიარე ძაძა-მოსილი კვიპაროზის ხე ყოველთვის დაღონებით, დაფიქრებით აყუდებული, ბერძნების თქმით, არის უიღბლო მეგობარი აპოლონისა. აპოლონს ის არას უმალავს, რადგან მხილებისა და გაცემისა არ ეფიქრება. მას აქეთ, რაც მან მოჰკლა შემთხვევით საყვარელი ირემი, დარდს ვეღარ აუვიდა, რის გამოც დღესაც სევდიანი და ჩამოღუღული აყუდებულა. ამ შეხედულობის მქონე ბერძნებმა ეს ხე საფლავის ხეთ გაჰხადეს და სასაფლაოზედ ჰრგავენ.

„დაფნის ხეც იმათებურად ქალწული არის და უხრწნელი ქალ-ღმერთი დაფნა, რომელსაც ჰყვარებია, მაგრამ არ დაჰყოლია შეყვარებულ ფებს, ღმერთთა-ღმერთს ბრძენს ზევსს იგი ამაზედ ხეთ უქცევია, რათა ამით გაეფრთხილებინა საკუთლოდ შეუპოვრობა შეყვარებულთა. მაგრამ სიყვარულით გაგიჟებულმა ფებმა მაინც დასწნა დაფნის ფოთლების გვირგვინი და გაჰხადა იგი ყველასათვის საწუკარი.

„ჭრიჭინა უმგზავსი, გამოფიტული ჭრიჭინაც-კი, ბერძნების აზრით, ტიფონია-პრიამ მეფის ძმა, რომელიც მოიტაცა შეყვარებულმა ცისკარმა (ბერძენთა რწმენით ცისკარი უმშვენიერესი ქალ-ღმერთია) და გამოსთხოვა ზევსს ამისათვის უკვდავება, მხოლოდ უშრეტის სიყვარულით შვიდ დღეს დასწვა და გამოჰფიტა ტიფონი. ამანაც შეყვარებულის მოვალეობა ვეღარ იკისრა და ზევსსვე სთხოვა—მწერად მაქციეო. ზევსმა გადააქცია იგი უმგზავს ჭრიჭინად.

„გამოხმობა (эхо), ბერძნების თქმით, ქალ-ღმერთაა, რომელმაც შეიყვარა მშვენიერი ყმაწვილი ღიდ-ღიდა. მისის სიყვარულით ისე დადნა, რომ ცარიელ ხმათ გადაიქცა. ღიდ-ღიდამ-კი პასუხი ვერ მისცა გამოხმობის გატაცებულ სიყვარულს, რადგან ერთხელ მივიდა წყლის პირას, ჩაიხედა და თავისივე სახე ისე მოეწონა, რომ ცქერით ვეღარ გაძღა და თავისივე თავი შეიყვარა. ზევსმა ეს ასე შეყვარებულ მიმოხვრაზედ გააჩერა წყლის პირასვე. ვის არ გინახავთ წყლის პირას ამოსული მშვენიერი ყვავილი ღიდ-ღიდა, რომელიც მუდამ შიგ წყალში ჩაიცქირება. გამოხმობა-კი დღესაც უძახის ამ ყვავილს, მაგრამ ამაოდ.

„მთვარეზედ ამბობენ ბერძნები, რომ ნადირობის ქალ-ღმერთიაო, საოცრად ლამაზი, მაგრამ შეუბრალებელი. ერთხელ ირმად იქცა და ძაღლებს შეაჭამა ახალგაზდა აქთეონი, რომელმაც პირველმა იხილა მისი სიმშვენიერე. შეუბრალებლობას მაინც-კი ბოლომდის ვერ მისდია, რადგან მეტად შეიყვარა ახალგაზდა მწყემსი ენდემინა. რომ ყოველ ღამ მასთან განუშორებლივ ყოფილიყო, დრო მის ხვევნაში ეტარებინა და თან ღმერთებთან სახელი არ გაეტეხნა, ზევსს სთხოვა, ღამით ვიყარაულებო. იმიტომ მას აქეთ ღამით დააქვს ქვეყანაზედ თავისი ფარი. საქმეც წესიერად მოუგვარდა, რადგან ფებმა უარი ჰყო ღამით ყარაულობა. უნდოდა ხანგრძლივ ჩახვევნა ფეტიდასთან ზღვის ნესტიან ოთახებში“.

ამით დაათავა ვანომაც თავისი სათქმელი და ყველანი ავიშალენით. მზე ამოსვლას ჰლამობდა. მწვადები დააშიშინეს ცხენებს უნაგირები გაუსწორეს... აგერ ამოვიდა კიდეც მზე დ აქამდის უფერული კავკასიონის თოვლიანი მთის მწვერვალონი ვარდის ფრად აჰყვავდნენ დ იწყეს საამური ლაპლაპი... ვუმზერდი და ვერ ვძღებოდი ჩემს გარშემო გაშლილ სიცოცხლის სიმშვენიერის და დაუშრეტელ შემოქმედების ძალ-ღონით სავსე არე-მარით...

მღ. ზ. გულისაშვილი.

ში. პურთან შედარებით ის ნაწილები, რომელსაც სხეული ითვისებს, არის:

| | ქონი | ცილიანი ნივთიერებანი |
|---|---|---|
| ქერში | 7,7 ნაწ. | 2,3 ნაწილი |
| შვრიაში | 8,0 „ | 4,3 „ |
| სიმინდში | 8,0 „ | 4,0 „ |
| ჭვავში | 9,9 „ | 1,6 „ |
| ხორბალში | 11,7 „ | 1,2 „ |
| სოიაში | 30,1 „ | 15,8 „ |

სხვა ანალიზები გვიჩვენებს შემდეგს შინაარსს:

| | ქონი | ცილიანი ნივთ. | სახამებელი |
|---|---|---|---|
| სოიაში | 34,5% | 18,0% | 28,5% |
| ლობიოში | 27,0 | 2,6 | 60% |
| მუხუდოში | 23,6% | 2,1 | 58,7 |
| ოსპში (чечевица) | 25,0% | 2,6 | 56% |
| ჭვავში | 9,0 | 2,3 | 64,9 |
| ხორბალში | 10,0 | 1.4 | 64,3 |

სოია, რომელიც ოდესმე თითქმის დასავლეთ საქართველოში და ეხლა-კი, საუბედუროდ, აქ დავიწყებულია, იაპონიაში და ჩინეთში წარმოადგენს უპირველეს მცენარეს, თითქმის ისე, როგორც ჩვენში სიმინდი. სოიის მარცვლებს, სხვათა შორის, დიდის ამბითა და ზეიმით სთესავს თვით იაპონიის ხელმწიფე ხელით ჩინეთის ბოლდიხანი ყოველ გაზაფხულს, მუშაობის დაწყების წინ და მის შემდეგ მთელი ჩინეთი ამშვენებს თავის ყანებს ამ მცენარით. ბ-ნმა Dujardin Beaumetz-ის სიტყვით ჩინეთის და იაპონიის საავადმყოფოებში სოია რძისა და ყველის მაგიერობას სწევს. სოიისგან კეთდება მრავალ ნაირი შეზავებები, გალეტები, გამომცხვარი პურები, ჩინებული ყავა, ყველი და სხვა-და-სხვა. ცნობილია, რომ სოია საუკეთესო ბალახია საქონლისათვის და გასასუქებელ ფრინველებისათვის.

ბ-ნმა ვუჩინომ, რომელსაც შესწავლილი აქვს ცხელ ქვეყნების მცენარეობა, 1898 წ. დაათვალიერა ჩემ მიერ შედგენილი კოლლექცია სხვა-და-სხვა ჩვენებური ლობიოებისა და, რა ნახა „ქვა-ლობიო“, რომელიც გარეგან შეხედულებით არაფრით არ განირჩევა იაპონიის და ჩინეთის სოიის ჯიშებისაგან, გაოცდა ამ სოიის მარცვლის ნახვით, რადგანაც სხვათა შორის, ერთი ბოტანიკოსისაგან, რომელთაც შეუსწავლიათ ქუთაისის გუბერნიის მცენარეობა, მაგალითად, გულდენშტედტ, ფეხელდ, პროფ. ზინოვიეს, ლიფსკი, ლდ-მიმორის, კოხს, მედვედევი, სოლდონის, ალბოვს და კრასნოვს არ შეუნიშნავს ჩვენში სოია.

ბ-ნს ვუჩინოს აზრით სოია დიდი ხანი არ უნდა იყოს*), რაც შემოტანილია დასავლეთ საქართველოში; ამ აზრის იქნება სხვა ბოტანიკოსებიც იყვნენ, მაგრამ მე არ შემიძლიან მათ დავეთანხმო, რადგანაც, სხვათა შორის, ერთმა თოთხმეტ-და-ოცდამეტის წლის მოხუცმა, ბარქაიამ (სენაკის მაზრის, სოფ. კვალონს მცხოვრებმა) 1892 წ. დამარწმუნა, რომ ის 15 წლისა იქნებოდა, როცა თავის მამასთან ძაძა-ლობიოს სთესდა ყანაში. „ჩემი მამა მაშინ ორმოცი წლისა არ იქნებოდაო“. მითხრა ბარქაიამ.

ასეა თუ ისე ბ. ვუჩინომ სოიის მარცვლები გამოაკვლევინა სხვა ქვეყნების სოიის მცოდნე პირებსაც და აღმოჩნდა, რომ ეს არის თითქმის იმისთანა სოია, როგორიც იაპონიისა, ინდოეთისა და ჩინეთისა. 1898 წლის შემდეგ, ამ 1902 წლამდის ბ. ვუჩინოს, მეცა და ზოგიერთ მემამულეებს მოგვყავს სოია; და მისი მოსავალი და მის ფქვილიდგან გაკეთებული პური, გალეტები, ყავა და სხვა თან-და-თან იზიდავს ჩვენს ყურადღებას. ამ ბოლოს დროს ბ. ვუჩინოს მეცადინეობით გაცოცხლებულმა ჩვენებურმა სოიამ მიიქცია რუსეთის, უმეტესად სატახტო ქალაქების, პრესის ყურადღება და სხვა-და-სხვა კუთხიდგან იბარებენ მისგან სოიის თესლს. ბ-ნმა ვუჩინომ ქიმიურად გამოსაკვლევად თავისი ნაპოვნი სოიის თესლი გაგზავნა სამიწათ-მოქმედო დეპარტამენტის სამეურნეო ლაბორატორიაში, რომლის ანალიზმა აღმოაჩინა შემდეგი:

| | სოიის ასს მარცვალში იმყოფება: | უწყლო თესლის ასს ნაწილში იმყოფება: |
|---|---|---|
| წყალი | 7,91 | — |
| სქელი ზეთები | 19,83 | 21,53. |
| აზოტი საზოგადო | 5,34 | 5,79. |
| აზოტი ცილიან ნივთიერებისა | 5,22 | 5,67. |
| აზოტი ამიდებისა | 0,12 | 0,13. |
| ნუკლეინები | 0,65 | 0,71. |
| ცილიანი ნივთიერება საზოგადო აზოტით | 33,37 | 36,24. |
| საზოგადო რიცხვი უაზოტო ესტრაქტიულ ნივთიერებისა | 21,14 | 24,42. |

*) ოცი, ოც და ხუთი წელიწადი.

აღმოჩნდა, რომ ვუჩინოს სოია საკვებ ნივთიერებით ბევრად აჭარბებს სხვა ქვეყნების სოიას იაპონიისას, ჩინეთისას და სხვა *). შესანიშნავი ის არის, რომ სოიას ფქვილში აზოტიანი ნივთიერებანი მეტია, ვიდრე ხარის ხორცში, უმეტესია ქონიც და ფოსფორიც, მაგალითად:

| | ას წილ ხარის ხორცში არის: | ას წილ სოიის ფქვილში არის: |
|---|---|---|
| წყალი | 74, 0 | 9,37. |
| აზოტიანი ნივთიერებანი | 22,74 | 26,93. |
| ქონი | 2,30 | 17, 0. |
| ფოსფორის სიმჟავე | 0,66 | 1,74. |

სხვა შესანიშნავ თვისებასთან, სოიას პურში, ას წილში არის: წყალი 45,0 აზოტიანი ნივთიერებანი 20,168, ქონები 9,350, სახამებელი და შაქრის ნივთიერებანი 2,794. იმის მიზეზით, რომ სოიას პურში ერთობ ცოტაა შაქარი და სახამებელი Georges Bellair-ი და Leserf-ი ურჩევენ სოიის პურის ჭამას ყველას, ვისაც ეშინიან „შაქრის ავადმყოფობისა“.

სოიის ყავა ყავაზედ ორმოც-და-ათჯერ უფრო მარგებელია ადამიანისათვის.

საქონლის საკვებად სოიას ხმარობენ, როგორც მარცვლად, ისე მის ღეროსა და ფოთლებს, როგორც გამხმარსა და ნედლსა, აგრეთვე დამჟავებულად.

დაღერღილი სოიას მარცვალი საუკეთესო საკვებს შეადგენს ცხენებისათვის სიმინდისა და შვრიის მაგიერ, საუცხოვოა აგრეთვე რქიან საქონლისათვის და სამეურნეო ფრინველებისათვის, ღორებისათვის.

სოიას ფქვილი, წყალში გახსნილი, ძროხას უმატებს და უსქელებს რძეს. ამისათვის საკმარისია დღეში 1 ან $1^1/_2$ გირვანქა ფქვილი ერთ ძროხისათვის.

გასასუქებელ ღორს დღეში რომ 2 ან 4 გირვანქა (ღორის სიდიდის მიხედვით) დაფქული სოია აჭამოთ, ღორი მალე სუქდება, დღეში ემატება ორიდგან ორ-ნახევარი გირვანქა წონა, მაშინ, როდესაც სხვა საკვები უმატებს დღეში $^1/_3$—$^1/_2$ გირვანქისას.

სოიას ცომი თითქმის ერთი კვირით სხვა საკვებზედ უფრო ადრე ასუქებს ფრინველებს.

დაღერღილი ერთი გირვანქა სოია სამ გირვანქა შვრიას უდრის. დღეში ექვსი გირვანქა სოია (ორ-ორი გირვანქა დილას, შუა დღეს და საღამოს) ძალიან ადრე ასუქებს ცხენებს.

ნედლი სოია—ფოთლებიანი ღერო და შტოები—დიდად სჯობია სიმინდის ჩალას: იმაში 25% მეტი ცილიანი ნივთიერებანია და 33% მეტია ქონები! ამნაირი უპირატესობა აქვს ხმელს სოიას სხვა ჩალასთან შედარებით.

როგორც ვხედავთ, სოია წარმოადგენს ერთს უუსაჭიროეს და დიდად სასარგებლო მცენარეს ჩვენის ქვეყნისათვის: სოიას ყოველი ნაწილი ძვირფასია. სოიამ ღირსეულად დაიმსახურა სახელი „ღარიბთა ხორცისა“, რადგანაც, როგორც ზევით არის ნაჩვენები, თავის საკვებ ნივთიერებით ხარის ხორცზე წინა სდგას. ამიტომ დიდად სასურველია გავრცელდეს ჩვენში სოიის თესვა და შემოიღონ, სხვათაშორის, მისი პურის ხმარება, ჩალით საქონლის კვება და მარცვლებით მათი ღონის და ხორცის და რძის მომატება. თუ რა ადვილია მისი მოყვანა ჩვენში, ამაზედ შემდეგ მოვილაპარაკებთ.

ნ. მკურნალი.

*) T. S. Rein. „Iapan nach Reisen und Studien 1886, t. II».

## წერილი

### რედაქციის მიმართ

ნება გვიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადოთ გაზეთ „ცნობის ფურცლის“ და ჟურნალ „მოგზაურის“ რედაქციებს, რომლებმაც კეთილ ინებეს და შემოსწირეს ალაგირის ქართულს სკოლასთან არსებულს წიგნთ-საცავს: პირველმა მუქთად დაუბეჭდა ასი ცალი „მოწოდების“ ფურცლები, ხოლო მეორემ მთელის წლით მუქთად დაუთმო ბიბლიოთეკას თავისი ჟურნალი.

იმედია სხვებიც მიჰბაძავენ ამათ მაგალითს და შეძლებისა და-კვალად, შემწეობას აღმოუჩენენ ამ ნორჩს და უცხო ქვეყანაში გამარტოვებულს ქართულს ბიბლიოთეკას.

გამგე ბიბლიოთეკისა მასწავლებელი პავლე ლომთათიძე.

## დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

6 ივნისი

**ვენა.** კლოსსე შეეკითხა მინისტრ-პრეზიდენტსა და მან უპასუხა, გერმანიის კანცლერის სიტყვაში არავითარს პროპაგანდას არა ვხედავ ისეთსა, რაც ავსტრიის საქმეებს შეეხებოდეს; პირ-იქით ჩემ მოვალეობად მიმაჩნია სასტიკად დავგმო ის აგიტაცია, რომელსაც მიჰმართავენ ხოლმე პალატაში წარმომადგენელნი თითოეულ გუნდისაო. პალატამ უარ-ჰყო კამათის დაწყება კლოსსეს შეკითხვის თაობაზედ.

**ათინა.** დაპატიმრებულ იქმნენ რამდენიმე მაკედონელნი, რომელნიც ჰმოქმედობდნენ ვითა აგენტები მაკედონიის კომიტეტისა და სცდილობდნენ შეედგინათ ბრბონი მაკედონიაში შესასევად.

**ლონდონი.** კროიდონს წარმოთქმულს სიტყვაში შინაგან საქმეთა მინისტრმა სთქვა: „რაკი სწორედ გასაოცარია და ღირსი გაკვირვებისა ის გულ-კეთილობა, რომელსაც იჩენენ ბურები, მთავრობა აპირობს უკან დაიბაროს სამხრეთ აფრიკიდგან კარგა დიდი ნაწილი მხედრობისა“.

**პრეტორია.** კალვინიის ახლოს იარაღი დაჰყარა 690 კაცმა, რომელთა შორის მომეტებული ნაწილი კაპელნი მეამბოხენი არიან; სულ იარაღი დაჰყარა დღემდე 18,400 კაცმა.

**ლონდონი.** რაკი მცირე მისვლა-მოსვლა და ჯაფა არ მოელის მეფეს მომავალ კვირას, მკურნალნი ურჩევენ ამ დღეებში მოერიდოს დღესასწაულისათვის საჯაროდ მზადებაში მონაწილეობის მიღებას.

**ტომსკი.** საპატიო მოქალაქემ ზიმინმა შესწირა ტომსკის უნივერსიტეტს 100,000 მან. საბაქტერიოლოგო ინსტიტუტის გასამართავად და შესანახად იმ პირობით, რომ ინსტიტუტს ეწოდოს სახელი ჩურინებისა.

**კიევი.** დაბეჭდილია განცხადება, რომ მიიღებიან მსურველნი კიევის საპოლიტეხნიკო უნივერსიტეტში. მიღება გასტანს 15 ივლისამდე. წელს საბჭომ შესაძლებელად სცნო პირველ კურსზე შემსვლელთათვის ვაკანსიების რიცხვს მოუმატოს და 500-მდე კაცი მიიღოს.

**ლონდონი.** ხაზინის კანცლერის თქმის გამო, რომ მთავრობის პოლიტიკას აზრად არა აქვს წააქეზოს ახალშენებთან ვაჭრობა სადამოჯნო ომში უცხო ერთა წინააღმდეგ მონაწილეობით, „Standard“-ი ამბობს: საპარლამენტო დასთა შორის ეს თქმა ისე ესმით, რომ სრულიად საჭიროდ არ არის ცნობილი ბრიტანიის სადამოჯნო კავშირიო.

**ბერლინი.** „ჩრდილო-გერმანიის გაზეთი“ იუწყება, რომ გამოცხადდა ხონთქრის ირადე, რომელშიაც ნათქვამია: შეწყნარებულ იქმნა ოსმალეთში არსებული გერმანიის ყველა დაწესებულებანი, როგორც სასულიერო ისე საეროვო.

**პეტერბურგი.** 6 ივნისს პეტერგოფის დიდს სასახლეში ბედნიერება ჰქონდათ წარდგენოდნენ ხელმწიფე იმპერატორს ოფიცრები და მოხელენი, რომელთაც კურსი გაათავეს ნიკოლოოზისა, საინჟენეროსა, სამხედრო-იურიდიულს აკადემიებში და აღმოსავლეთ ენებისა და საინტენდანტო კურსებზედ.—გუშინ სტრელნას სადგურზედ მოვიდა მემკვიდრე პრინცი ანგალტ-დეჰაუელი მეუღლე მარიამითურთ. ძვირფას სტუმრებს მიეგებნენ დიდნი მთავარნი მიხეილ ნიკოლოოზის-ძე და გიორგი მიხეილის ძე მეუღლითურთ და თავადი გიორგი მაქსიმილიანეს ძე მეუღლითურთ. 3 ივნისს ხელმწიფე იმპერატორმა ხელმწიფე იმპერატრიცის აგარაკს ალექსანდრიას ინება და დაათვალიერა კუშინსკის სახელმწიფო ქარხანაში გაკეთებული საქონელი.

7 ივნისი

**ვარშავა.** დღეს ვარშავაზედ გაიარა საზღვარგარეთ მიმავალმა ბოლგარიის მთავარმა.

**ერივანი.** 1854 წელს ჩინშლის სიმაღლეებზედ მომხდარ ბრძოლაში დაღუპულ მეომართა სახსოვრად გუშინ საფლავზედ ჯვარი აღმართეს.

**პოლტავა.** კიევის ოლქის სასამართლოს განყოფილებაში დღეს დაიწყო განხილვა კობელიანის სამხედრო უფროსის საქმის მწარმოებლად ყოფილის, კაპიტანის კრივეცკისა და სხვების საქმისა. კრივეცკისა და სხვებს ისა ჰბრალდებათ, რომ სამხედრო სამსახურისაგან ჯარის-კაცებს ანთავისუფლებდნენ.

**მოსკოვი.** საგანგებო სესსია მოსკოვის გუბერნიის ერობისა შესუდა, რადგანაც ხმოსანნი კრებებს არ ესწრებოდნენ.—გაიხსნა პირველი სამაგალითო თავ-შესაფარი ფეხ-მძიმე დედაკაცთათვის. დაჯდა იგი 80,000 მანეთი.

**პენზა.** დაიწყო საპედაგოგო კურსები.

**პეტერბურგის ბირჟა,** 4 ივნისი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 94,15 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,80 |
| ბერლინში ,, | 46,30 |
| პარიჟში ,, | 37,60 |
| ბირჟის დისკონტი | $4^1/_2$—$6^1/_2$% |
| 4% სახელმწიფო რენტა | $96^7/_8$ გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | $98^5/_8$ მყიდ. |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | — |
| 5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | $472^1/_2$ გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | $362^1/_2$ მყიდ. |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | $292^1/_4$ გაყ |
| 5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. | — |
| $4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — |
| 5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| $4^1/_2$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ. | — |
| აქციები ,, | — |
| ,, კასპიის ამხანაგობისა. | 4600 წვ. გაყ. |
| ,, ბაქოს ნავთის საზოგად. | 438 წვ გაყ. |
| ,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად. | 183 წვ. გაყ. |

## ყოველ-დღიური საჭირო ცნობანი:

რკინისგზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლისა

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

| | მოდის ტფილ. | გადის ტფილ. |
|---|---|---|
| **ბაქო.** | | |
| სწრაფი მატარებელი (პარასკეობით) | 3 ს. 43 წ. დღ. | 11 ს. 49 წ. დილ. |
| ფოსტის „ (ყოვ.-დღე) | 4 ს. 54 წ. დღ. | 1 ს. 34 წ. დღ. |
| სამგზავ. „ „ | 8 ს. 37 წ. დილ. | 8 ს. 22 წ. საღ. |
| **ბათუმი.** | | |
| სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე) | 10 ს. 2 წ. დილ. | 7 ს. 43 წ. დილ. |
| ფოსტის „ „ | 12 ს. 32 წ. დღ. | 6 ს. 7 წ. საღ. |
| სამგზავ. „ „ | 7 ს. 37 წ. საღ. | 9 ს. 27 წ. დილ. |
| **ყარსი და ალექსან.** | | |
| ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე) | 7 ს. 18 წ. დილ. | 9 ს. 28 წ. საღ. |
| ამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიიდგან) | 4 ს. 35 წ. დღ. | 3 ს. 13 წ. დღ. |
| **ბორჯომი.** | | |
| სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე). | 6 ს. 57 წ. დილ. | 6 ს. 22 წ. დილ. |
| სამგზავრო „ „ | 9 ს. 53 წ. საღ. | 2 ს. 28 წ. დღ. |


## განცხადება

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება ორი ახლად დაბეჭდილი წიგნი:

**ყოველის მხრიდან**

ეტიუდი სოფლის ცხოვრებიდგან არბოლისა ფასი 10 კ.

და

**მოთხრობანი**

დავ. კლდიაშვილისა ფასი 30 კ.

**წერაკითხვის საზოგადოების წიგნის-მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:**

| | |
|---|---|
| საუმაწვილო ამბები ეკ. გაბაშვილმა | „ 30 |
| საქართ. ისტორია ბროსსე I-II ნაწ. | 1 40 |
| Земельные вопросы и преступность на Кавказѣ Г. Тумановъ | „ 60 |
| სალიტერატურო ქართული. სილოვან ხუნდაძის გამოკვლევა | 1 მ. „ |
| მოთხრობანი დ. კლდიაშვილისა. | „ 30 |
| ყოველის მხრიდგან. არბოლისა. | „ 10 |
| ამოდის ნათლება, ვაჟა-ფშაველასი | ,, 15 |
| ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობის | ,, 50 |
| ამბავნი და მოთხრობანი, გრ. ყიფშიძის | ,, 15 |
| ახუნდი, ვაჟა-ფშაველასი | ,, 5 |
| ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირის | ,, 30 |
| აბო ტფილელი, ე. გ. | ,, 30 |
| Або Тифлисскій, Е. К. | ,, 5 |
| Грузинскій отрывокъ Калилы и Димны, А. Хахановъ | ,, 60 |
| გიორგი და მიხეილი | ,, 10 |
| რ. აბაშიძის | ,, 60 |
| დ. გაბრუაშვილის | ,, 25 |
| მელის წიგნი, კ. თავაიშვილის | ,, 40 |
| მუშათა კითხვა | 15 ,, |
| მოგზაურობა იერუსალიმში, დეკ. ზ. ჭიჭინაძის | 1 ,, |
| მოძღვრებანი, ი. გამრეკელის. | ,, 40 |
| Древній Анчисхатскій соборъ. Карбеловъ | ,, 20 |
| ქართველი წმინდანები, გ. იოსელიანის | ,, 40 |
| შრომა და ბედნიერება, თარგ. ნინიძის | ,, 30 |
| ჩანგი, ვ. აბაშიძის | 1 ,, |
| ჩემი აზრი და ფიქრები, ს. ხუნდაძის. | |
| Царица Тамара, М. Джанашвили | ,, 50 |
| ცისარტყელა, ავ. ცაგარელის | ,, 30 |
| ცხოვრების სარკე II, გამოც. ი. იმედაშვილის | 1 ,, |
| Характеристики и воспоминанія Г. Туманова | ,, 50 |
| დედა, ანდერსენის | ,, 8 |
| Краткій очеркъ Грузинской народной музыки, И. Каргаретели | 30 ,, |
| კუბოკები ქართული ანბანის | 1 მ. 20 |
| ლექსები განდეგილის | ,, 50 |
| ევდოშვილის | ,, 50 |
| დამონებულნი, თარ. თ. სახოკიასი | 1 მ. ,, |
| დაუჯდომელი წმ. ნინოსი | ,, 20 |
| Двѣ святыни въ Кахетіи, Е. К. | ,, 10 |
| Давидъ Гареджели, Е. К. | ,, 15 |
| ეტიუდები, თ. ხუსკივაძის | ,, 15 |
| ლხინი, მოთხრობა | ,, 5 |
| Вступленіе Грузіи въ составъ Росс. имперіи, М. Хелтуплишвили | ,, 40 |
| Назрѣвшій Е.ропов съ, К. | ,, 20 |
| ოცი წლის წინედ, გ. წერეთლის | ,, 5 |
| Очерки по истор. Грузин. словесности, т. III Хахановъ | ,, 3 |
| ამბავი მადლის ქვისა | ,, 5 |
| აკიდო საყმაწვილო, მოთხ. ი. გოგებაშ. | ,, 15 |
| ათონის ივერიის მონასტრის ხელთ-ნაწერი | 1 მ. ,, 50 |
| ბერანჟე, თარგ. გ. გვაზავასი | ,, 40 |
| ბენია | ,, 10 |
| ბუნების სადღარი მოვლენანი, ს. ჯუღელის | ,, 15 |
| ბაში-აჩუკი, აკაკისა. | ,, 30 |
| ბუნება სურათებში, ი. ალხაზიშვილის 1 მ. | ,, 30 |
| გლეხი-კაცის ისტორია, III--IV ტ. 1 მ. | ,, 20 |
| აღმზრდელი, აკაკისა | ,, 5 |
| გასართობი | ,, 10 |
| გოგებაშვილი იაკობ, ზ. ჭ—სა | ,, 15 |
| გუსტავ ვაზა | ,, 3 |
| პატარა ლორდის თავგადასავალი | ,, 30 |
| პატრა ვეფხვის ტყაოსანი. | ,, 25 |
| რამას განდევნა, თარგ. ალ. ს—შვილისა | ,, 40 |
| სიტყვიერების თეორია, ეპ. კირიონისა და გრ. ყიფშიძისა | 1 ,, |
| სპარტაკი, თარგ. ნ. ყიფიანისა. | ,, 60 |
| აერო დღესასწაული | ,, 25 |
| Въ Барсовой кожѣ, Мкинвари | 1 р. ,, |
| ზურაბის კოშკი, ივ. ბ—ლისა. | 3 ,, |
| Заслуги Грузинскаго монашества, Е. К | ,, 30 |
| თხზულებანი ვაჟა-ფშაველასი | 1 მ. |
| თეორია სიტყვიერებისა, კელენჯერიძისა | ,, 40 |
| თამარ-დედოფლის სამკაული | ,, 10 |
| თამარ დაზნელი, ან. ფურცელაძისა | ,, 50 |

## ამხ. „ვერეიჩევი და კამენმახერი“

ღირს-ქმნილი თვისის სტამბის საქმეთათვის ბათუმში 1901 წლის კავკასიის საიუბილეო გამოფენის **მედლისა**

და გაზეთ „Тифл. Лист.“-ის ფრიად სასიამოვნო მოწონებისა (№ 277, 1901 წ.) აუწყებს ყველას, რომ მიხეილისა და ნემცების ქუჩის კუთხეში, სლივიცკის სახლში გაჰმართა

**სტამბა და სახაზავი,**

რომელნიც მოწყობილია ტეხნიკის ყოველ მოთხოვნილებისა თანხმად და ამიტომ შეეძლება ყოველ-გვარი სასტამბო და სახაზავი სამუშაო შეასრულოს ყოველ ევროპიულსა და აქაურს ენაზედ

☛ **კოხტად, სწრაფად და იაფად** ☚

23 მარტიდგან სტამბის კანტორა ღიაა ყოველ-დღე. სტამბაზედ მოშორებით მცხოვრებნი მუშტარნი არ შესწუხდნენ სტამბაში მოსვლით, „ვერეიჩევისა და კამენმახერის“ ამხანაგობას მრავლად ჰყავს მოსამსახურე ხალხი, რომელნიც სურვილისამებრ ეახლებიან და მიიღებენ მუშტართაგან საქმეებს. ტელეფონი № 852.

(25—309—24)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 7 іюня 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. დროებითი რედაქტორი ა. ი. სარაჯიშვილი. გამომცემელი ი. ჭავჭავაძე.